

140 /
1987/2



ՀՈՐԵՆՆԵՐԻ

8
1987



ჯემალ მარგველიძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრი ნათელა ვასაძე, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე მარინე ხარატიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ზუტა ბერუღავა.

ქალაქის მთავარი მოედანი ერთბაშად დაიპყრეს რესპუბლიკის ნორჩ ლენინელთა 400 000-იანი არმიის საუკეთესო წარმომადგენლების მწყობრმა, ლამაზმა მწყრივებმა. შეკრების რაზმეულის კოლონას შემოუძღვა ზუგდიდის მე-14 რაზმული სკოლის მარჯვენაფლანგული რაზმეულის ნა-

გვიხმობენ პიონერული საყვირები



რები ბიზნერული რაზმი.

„ყურადღება! ყურადღება!“ — ხმანობენ პიონერული დაფდაფები. შეკრების შვიდივე რაზმის საბჭოს თავმჯდომარეთა სახელით პატაკ აბარებს ქუთაისელი დღევანდელი შალვა ხეცურიანი. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე პატაკ კამკამიძე შეკრების რაზმეულის შზადყოფნას უპატივებს პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს მარინე ხარატიშვილს.

შეკრებას ბარდება რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პიონერული ორგანიზაციათა პატაკები — თავი-

ნიწო სარაიშვილი

მთელმა ზუგდიდმა მოსიყვარულა პიონერულ ფორმებსა და ნაირგვარ სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი ასობით ბავშვი. რესპუბლიკის პიონერთა XIII შეკრების გახსნის ცერემონიალი ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა. ბუნებით კეთილი მისპინძელი — ზუგდიდი — განსაკუთრებით სტუ-

მარმრავალი იყო იენისის იმ დღეს: პიონერთა რესპუბლიკური შეკრების გახსნის ცერემონიალი მონაწილეობდა არა მარტო ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ხელმძღვანელობა. სტუმართა შორის იყვნენ საქავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვალინა ჩუბაროვა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი



სებური ანგარიშები იმისა, თუ როგორ შეხვდა რესპუბლიკის მთელი პიონერული ორგანიზაცია და თითოეული პიონერი თავის უმაღლეს ფორუმს. ეს არის წარბაზებით დალამპურული საკავშირო პიონერული მარშის „რევოლუციური გვიჟეს ნაბიჯები“ სიმღერები, ციფრებით გამოხატული პიონერთა შრომითი გულშობილებები: მოკრფილი 220.000 ტონა ჩაის ფთოლი, „წიქარასის“ ნობათად დამზადებული 1.218 ტონა საკვები, შეგროვებული 21 ტონა სამკურნალო მცენარე, 7.100 ტონა ჯართი და 36.600 ტონა მაკულატურა, საკუთარი ხელთ მოწყობილი 23 სასკოლო თევზსაშენი, პიონერულ ფერებში გამოზრდილი 3.500 კურდღელი, დარგული და გაზარებული 28.000 ნერგი, სოლიდარობის ბაზრობებსა და შრომითი ღვანტუბებზე გამოუმუშავებული და მშვიდობის ფონდში გადარიცხული 20.000-ზე მეტი მანეთი.

იწყება პიონერული აღღუმი — ნამდვილი ფერადოვანი დღესასწაული.

**შეკრება
პიონერების
სამთაველს**

„საქროა, რომ პიონერულ რგოლში, რაზმსა და რაზმეულში მონაზრდი გულდიად ამტკიცებდეს თავის აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას, უფროსების მითითების გარეშე იცავდეს თავის მოსაზრებას, სწამდეს, რომ მის სულ უზარმაო წინადადებასა და შეუძლია დიდ საერთო საქმეს ექცეს საფუძვლად.“

საკავშირო კომკავშირის XX ყრილობაზე გამოქვეყნული ეს მოსაზრება მყარ საფუძვლად ეცა იმ ძალზე საქმიან, ურთიერთმომთხრობ ატმოსფეროს, რომელიც სუფევდა მზიანეთელი შეკრების საღისეული შეხვედრებზე, როგორია ჩვენი პიონერული ორგანიზაცია დღეს, როგორი იქნება იგი ხვალ, რა გარდაქმნება უნდა მოხდეს ჩვენში და ჩვენს მეშობაში, რომ პიონერის სახელს, სიტყვასა და საქმეს ჩრდილი არასდროს მიადგეს და ლაქა არასდროს მოეცოს. სექციებზე, რომელთა

მუშაობასაც წარმართავენდენ გავით „ნორჩი ლენინლის“ პასუხისმგებელი მდივანი ნათელა ფაილოძე, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მეთოდისტი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი იზა კეკელიძე, პიონერული და კომკავშირული მუშაობის განყოფილების გამგე ნათელა ჩხეიძე, პიონე-



სკრიდება დღეს ლენინური პიონერული ორგანიზაციის განვითარება გაძლიერებას. დისკუსიასთან, ყველაზე უმაღლესობაში დამკვიდრებული ერთი მიმართულება: პიონერების უდიდესი მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ, საკუთარი პიონერების საქმიან გამოხატვისკენ, თვითდამკვიდრებისკენ და პიონერული ორგანიზაციის ავტორიტეტის გაძლიერებისკენ.

თქვენ, რა თქმა უნდა, ყველანი იცნობთ თბილისის პიონერთა საქალაქო შტაბის „კოკონის“ წევრთა მრავალმხრივ საქმიანობას. დისკუსიის მონაწილეთა შორის და, საერთოდ, შეკრების დღეებთან შრომისაც, ბეგრი იყო კოკონელი. ჯერ მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ მათი შტაბის თავმჯდომარე პაატა კამყამიძე მზიანეთელებმა თავიანთი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედაც სიაზოვნებით აირჩიეს. ასე რომ, „კოკონის“ ამ შეკრებაზეც შესასრულა თავისი დიდი მისია — ერთგვარ მათრახინებელი და წარმართველი ბიროვად ექცა დღეგატა სამუშაო განწყობილებას.

**შანი სიხაპა,
შეკრების
დელეგატი!**

მ ა მ კ მ ნ მ დ ი მ მ, თბილისის პიონერთა საქალაქო შტაბის წევრი, 88-ე საშუალო სკოლის მოსწავლე:

მიხარია, რომ ჩვენი შეკრება მეტად საქმიან ატმოსფეროში ჩატარდა, დელეგატებმა ბევრი იმსჯელეს თავიანთი სატიკვარზე. საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დიდ პრობლემებზე. ისინი ლაპარაკობდნენ თავიანთი რაზმების პრობლემების გათვალისწინებით. ბეგერი რამ

რული მუშაობის კაბინეტის გამგენელი ნიკურაძე და საზაფხულო მუშაობის სექტორის ხელმძღვანელი ნინელი ჩიხლაძე, აქტიური, ძალზე მრავალმხრივი მსჯელობა გაიმართა ამ საკითხთა ირგვლივ. გამოიკვეთა სამი ძირითადი საღისეული თემა: „ჩვენ ჩვენი ორგანიზაციის ბატონ-ბატონები ვართ“, „უფროსების მხარდახმარა“, „ვზრდივთ ჩვენს ეკლას და ვეშალებით კომკავშირის რიგებში შესასველად.“

დისკუსიის მონაწილე შეკრების 262-ვე დელეგატის პოზიციებში, მათ მისწრაფებებსა და განწყობილებებში გამოიკვეთა ყველა ის პრობლემა, რომელთა გადაჭრაც ასე



საბჭოთავი კავშირის
ს. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა რეპუბლიკის
რეპუბლიკის საპრო-
უბლიკაციო
საბჭოთავი ორგანიზაცია



გამართლ
1926
წელი

პიონერი

სამ. კავშირის
გამართლ

8

აპრილი 1987

საქ. სსკ. კ. მარტოს
სა. სსკ. გენსტე.
გენსტე

ითქვა კომკავშირისა და პიონერის თანამშრომლების პრობლემებზე. ეს სათაბო ვერ დგას სათანადო დონეზე, რადგან თითქმის ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე, რომ პიონერული მუშაობის გეგმა რაზმის ხელმძღვანელს სხვა აქვს, პედაგოგებსა და პიონერებს კი სულ სხვა. არ გვაქვს მყოფი იღებს არც ცნობილ და იდგინებთან კონტაქტები. ჩვენ გვიჩნდა ნამდვილი, ცოცხალი, ყველადიდიური ურთიერთობა და არა მხოლოდ ხანმოკლე შეხვედრები, რომლებიც შემთხვევიდან შემთხვევამდე შედგება.

ბიოგრაფიკონსაბა, სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლე:

დისკუსიამ გვიჩვენა, რა ცუდად ვმუშაობთ, რა ცუდად ვიცნობთ ჩვენს მშობლიურ ორგანიზაციას. რატომღაც ასე ხდება — პიონერები გვეყვას, რაზმი კი არა. მოგვეძალა ფორმალისა. სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმას, როცა პიონერულ ღირსს უფროსები — მასწავლებლები ან ხელმძღვანელები გვიჩვენებენ. და ეს ხდება მაშინ, როცა თითოეული პიონერული რაზმი ნამდვილი კოლექტივი უნდა იყოს და თავისი წინამძღოლის დამოუკიდებლად არჩევის უფლება ჰქონდეს.

მე მიმაჩნია, რომ ოქტომბერულბითან ვცოდავთ. ფორმალურად ვირჩევთ მათ ხელმძღვანელებს. ჩვენ, პიონერები, ჩვენი მუშაობით სანიმუშო უნდა ვიყოთ მათთვის, მაგრამ ასეთ მაგალითს ვერ ვაძლევთ და, უპირველეს ყოვლისა, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ თვითონაც ვერ ვხედავთ მას.

ზარაბ ბახტაძე, ბათუმის მე-8 სკოლის მოსწავლე:

ჩემი აზრით, ჩვენი ორგანიზაცია მეტი ყურადღებით უნდა მოვიკითხო პიონერული რიტუალებისა და სიმბოლოების ცოდნას. პიონერულ საყვირსა და დოღზე დაკრა თითქმის ყოველმა პიონერმა უნდა იცოდეს. უნდა მოინახოს პიონერული რიტუალებისა და წესების სწავლების ყველაზე მოსაბერებელი ფორმა ისინი შეიძლება ვაძლავლოთ პიონერულ რაზმებსა და რაზმეულუბთან შექმნილ საციალურ სექციებშიც. დისკუსიის მონაწილენი

ყველაზე მეტად აგვიღელვებ პიონერული ყვლახევის პრესტიჯის საკითხში. ყვლახევის ავტორიტეტი საფრთხეშია. გამოითქვა მოსაზრება, რომ ყვლახევი საერთოდ არ უნდა იყიდებოდეს. კარგი იქნება, შევიქნას ე. წ. პიონერის მიწოდება და სამკერდე ნიშანი, ყვლახევის კი მხოლოდ ჭაზეთი შემთხვევებში გავიკეთებთ...

კახა ხელმძღვანელი

სასკოლო ასაკს ახლახან ვასცდა. ალბათ ამიტომაცაა, რომ ყველაზე მეტად გვემუქებთან ურთიერთობა ეხალისება. ყოველ პიონერულ აქტივისტს მოსწონს აქტიური ბუნების, შრომისმოყვარე გოგონები. ამიტომ ვერ ვაძლავ დიდხანს „საქოლომში“ ვმუშავებ. ყოველ სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა. ჭერ მხოლოდ ერთი სასწავლო წელი გაატარა ზუგდიდის რაიონის წარუხინის ქართულ საშუალო სკოლაში. მიუხედავად პიონერულმდევნობა გაიხარა, რაზმის ხელმძღვანელობა რომ შესთავაზეს ჭკალუაში პიონერთა ბანაკში. მით უფრო, რომ შეკრების დღეებგათა ერთ-ერთი საუკეთესო — IV რაზმი ჩააბარეს.

ბავშვებს შეეჩვიო, — იღიბება. არადა, შეკრება უკანასკნელ საათის ითვის. რაზმის სატარული-ოემორისტულ გახვთს მიჩვენებს — „მშვეიცის შოლტს“, „გაფორმებულს“ ხაზურული გიორგი ლობჯინის ლუქებთან, კოკონელ ეკა კერხლიძის ვინიერებებსა და საქმინ თვისებებზე მესაუბრება. თავადაც ასეთი იყო — ვინიერი, საქმის მოყვარული, ინტერესიანი. კახა ჭერაც ჯახზე დგას — ფრანგული ენის მასწავლებლობაზე ოცნებობს, უმაღლეს სასწავლებელში აბირებს სწავლის ვაგირებებს...

როცა გამოცხადდეს, კახა ფარცვანი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო საბიჯლი დაჯილდოვდა, ერთბაშად იტყვიან დაარბანას, ერთი კაციერთაშ უკრავდა 300-მდე ბავშვი. ბენიერების ასეთ წუთებს ძნელად გაუძლებ... და კახა ხელმძღვანელიც

უხერხულად გაემაბრა სცენისაკენ — უცნაურად ავორიაქებული, ბავშვური სისხრულით ფრთაშესხმული, თავად ჭერაც ბავშვურად „აწოწილი“ და გამბადრია.

შრომითი დუნახი

ჩაის ყოველი მეორე რიგი ლამაზი, მოცეო ფირნშით მთარღება. ზედ რაზმებია აღნიშნული — I, II... და ასე, მეშვიდედე. ჩაის ბურქებთან მიფუტყუსუ ბავშვებს შრომის ვეტრანების მზრუნველი თვლი და გული დასტრიალებს. ეს აღმინებო ახალსოფელი სოციალისტური შრომის გორები არიან: დავით შეროზია და ლენა ხვინგია, ჭუტი როგავა და ხუტა კაკულია, ვალის შამათავა და მინადორა ქედაური, ქუტუნა ჭოჭუა, სონია დავითაია და სონია ბუბიას შვილიშვილი, ახალგაზრდა მეჩაიფ ფატმა კელია.

700-კოლიანი ახალსოფელი, დიდი კოლმურენობის, პლანტაციისა და ნათესი ფართობის პატრონი. ბავშვების შრომა აქ არავის უყვარს. მათი კოლმურენობის დასამარებლად „უცხო“ ბავშვებისგან შემდგარი ის ამხელა შრომითი დესანტი მინც იუხერხულეს. მაღლიობა გამოხატავთავისებურად სცადეს — სოფლის განთქმული ფოკლორული გუნდი მოიწვიეს აქვე, პლანტაციაში, კონცერტის ვასამართავად.

სიბთბს სიბთბ შევავებს მზინეთელებმა. იქნებ საქმის ცოდნით ვერა, მაგრამ გულიანად კი ნამდვილად შრომობენ. იზრდება მოკრეფილი ჩაის ფოთლის მთები. შეკრება ბა სულ უფრო და უფრო ხურდება...

III რაზმი ვეწვიეთ. გარდაბნულმა მათა აბრამიშვილმა, აქადა, შრომა ჩემთვის უცხო ხილი როდიადა, ნორიანს მეფრინველეობის ფაბრიკის ფერებში თავისი და თავისი შვიკორების ხელით გამოზრდილი შვილები გაიხსენა. სხვა კიდევ თავისას მოკვდა: რუსთველი ნათია გოლიაევა, სიღანდელი თამარი ხატიაშვილი, ლეონიდადი ეკა მუშაბა, გურჯაანელი ეკა ლუწვილი, ქარეული იანა ხუციშვილი, გარდაბნე-

ლი ორი ქეთინო — ქარსელადე და ნახუტიშვილი...

მთელი დილის ნაშრომის აწონვის დრო რომ დადგა, კიდევ ერთხელ აღელდა შრომითი დესანტი. გამარჯვებულებმა I-II-III ადგილები გაინაწილეს. I რაზმმა პირველობა მართლაც არავის აღუთმო, მერე VII რაზმელებმა ინარჩუნეს, პიონერფლემელებმა, მერე — V რაზმმა.

ნორჩორი

აღმა ბეჭური ერთი ცოცხალთვალემა, ცინცხალი გონების ბიჭია. თავისი ენამოსწრებულობით ამხანაგებში, რა ხანია, ვაიდლო სახელი, თუმცა კადა მართო ენამოსწრებულობით... კავობითაც. მისი უცებ ნათქვამი ლექსები გაუხეპირებელი ძნელად ჩრება ხოლმე თიანეთის რაიონის სოფელ ლულულების წერილფეხობას.

ლულულების საშუალო სკოლას,



შემოქაზა საინფორმაციო დღე უმაზბარა ომისა და შაროქის პატივსაცემად

რომლის მეტხრე კლასშიც აღამი სწავლობს, ახსოვს მისი რაზმის საბჭოს თავმჯდომარეობის წლები, მერე — რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეობისაც, პიონერული მოქმედების ზონის შტაბის თავმჯდომარეობისც.

თავის ხელს უცებ დაატყობს ხოლმე საქმეს. რაზმეულში რომ აირ-

ჩიეს, პირველივე თვეში სკოლის ინტერკლუბის მუშაობა გამოაცოცხლა. ინტერკლუბში გაჩნდა ახალი მეგობრების წერილები — აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, ლატვიიდან. მერე ის იყო, ახალშექმნილ სასკოლო მინიმეურნობასა და მის „დირექტორს“ ლამირა ხუბაშვილს ამოუღებდა მხარში, 7 ჰა მიწა გაითხოვეს, 85 ტონა ჭარხალი და ლობიო მოიწიეს.

„იკვლივის სამოურებზე“, „ძილის ბატონების დასაფრთხობად“ — ეს აღამის საგაზეთო წერილების სათაურებია, დიპხ, დიპხ, წერილებისა. აღამის პატარა ბიოგრაფიაში ჭერჯერობით ეს არის ყველაზე კაშკაშა წერტილი, იგი ხომ გაზეთ „ნორჩორის“ ლენინელთან თანაშრომლობს.

პირველად მირზა გელოვანის მოსაგონარ საღამოზე გაბედა საკუთარი ლექსების წაითხვა. კომედიანების თიანეთის რაიონის პირველ მდივანს მერი ბოდაველს ამბავი ჩა-

უტანია „ნორჩორის“ ლენინელში“. გამოიძახეს, შეაქეს, „საღამურას თავგადასავალი“ უსახსოვრეს. ცოტა ხნის მერე, ჯერ „ნორჩორის“ მისზე გამოქვეყნებული წერილის სიხარულიც რომ არ ჰქონდა ვანკლენბურლი, „ნორჩორის მოწმობა“ და საფოსტო მარკები გამოუგზავნეს, საყვარელი გაზეთის 60 წლისთავის

იუბილეზე კი „ლაბაზი“ სიგელითაც დააჭილოვებს.

ეს ზამთარს აღამი ეთქვემდებარებოდა. გული სწყდებოდა, შეტრებანე როგორღა მოეხვედებო. მოულოდნელად გაახარა „ნორჩორის“ მორჩევამ — ასე შეემატა მზიანეთელთა „ნორჩორის“ ლენინელს“ სავეშაგოს „ნაკურჩინას ველადან“ ჩამოსული ვეცე ერთი სტუმარი...

ბოლო დღეს...

ფილმისთვის ჯერ სახელწოდებაც არ შეურჩევიათ. ჩვენებით კი უკვე უჩვენეს თანატოლებს იფისის ამ რგა მზიანი დღის განმავლობაში გახადებულ: შეკრების საზეიმო გახსნა, ექსკურსიები ენგურაქესზე, ენგურქალაქკომბინატსა და ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში, დადიანის სასახლესა და ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში, საინტერესო შეხვედრები ქალაქის პიონერთა სახლის დამაწერის ნორჩორის მსახიობებთან, რაიონის წარმომებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებთან, სპორტული ასპარეზობები, პიონერული კოცონი, პიონერული დისკოთეკა „60+60“... ერთი სიტყვით, პიონერფილმელებმა, სვეტლანა და გრიშა მასწავლებლების ხელმძღვანელობით, ტრადიციულად ძალზე ბევრი იშრომეს...

თითქოს განგებო, ბანაქის დახურვის დღეს კოცისპირულად წვიმდა ზუგდიდისა და ქკაღლასში. წვიმა რეცხავდა პიონერთა საძინებელი კორპუსების სახელწოდებებს — „ია“, „მიზაქი“, „გვირილა“ და უცნაურად ეხმინებოდა ბავშვებისა და მათი უფროსი მეგობრების საფრთხე განწყობილებას — გულაწყვეტას ერთმანეთთან განშორების გამო.

ნახვამდის, „მზიანეთი!“ საკავშირო პიონერული ბანაქი „არტეკი“ უკვე მოუთმენლად ელის IX საკავშირო პიონერული შეკრების დღეებატებს, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის პიონერთა 41 წარმომადგენელსაც, თანატოლთა მიერ ერთხმად არჩეულ X III რესპუბლიკურ შეკრებაზე.

თეზურ
ცაბარმლი
ფოტო
აბორისა

მეურნეობა



ი-ქასპენეცა

შაკილელაბი და სხვაბი

შჩოვა

დადგა პიონერული ზაფხული. საქართველოს მრავალათსიანმა პიონერებმა შრომისა და დასვენების ბანაკებს მიაშურა. პიონერ-მოსწავლეებმა დახმარების ხელი გაუწოდეს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობათა მუშაებს. სოფელ გოგობიეებს არც ქალაქლები ჩამორჩნენ, ისინიც ჩაებნენ შრომის ფერხულში. ასე მოიქცნენ თბილისის ერთ-ერთი ახალი უბნის, ნუცუბიძის პლატოს პიონერ-მოსწავლეებიც. მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებით პლატოს განაშენიანების აგტორთა პატივისცემის ნიშნად თბილისის 126-ე და 170-ე სკოლების პიონერ-მოსწავლეებისაგან დაკომპლექტებულ ოცდაათაკიან შრომით რაზმს „შატლი“ დაერქვა. რაზმი სამ ბრიგადად დანაწილდა. პირველ

ბრიგადას — „შევარდენს“ — სათავეში ჩაუდგა მეცხრეკლასელი თამაზ ბაქრაძე, მეორეს — „მერცხალს“ — დათო ქურციკიძე ხელმძღვანელობს, ხოლო მესამეს — „მართებს“ — ირაკლი ბესიაშვილი. შრომისმოყვარე გოგობიეებმა „შატლის“ უფროსად ერთსულოვნად აირჩიეს მეცხრეკლასელი ზურაბ კალანდაძე, და ბოლოს, როცა საორგანიზაციო საქმეებს მორჩინენ, ქარელის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მიაშურეს.

პიონერ-მოსწავლეებს სიხარულით შეხვდნენ კოლმეურნეობის მესვეურნი. უფროსმა აგრონომმა ვაჟა მანჭავიძემ მოკლეად გააცნო დასახმარებლად ჩამოსულ გოგობიეებს კოლმეურნეობის ძირითადი დარგის, მებისეობის წლებიდანლი მდგომარეობა.

მერე სავარგულების ის 16 ჰექტარი დაათვალიერებინა, სადაც ათწინდელი სახანდარაშვილის ბრიგადასთან ერთად კაცო ივანიძის მებრუნეებიც შრომობენ.

— ამ ფართობში გაშენებული ვაშლის ჯიშები რედ-დელიშისი, გორგელ-დელიშისი და შამპანური რენეტი („ბროკი“) წელს გამოიღებენ პირველ ნაყოფს, ამიტომ მათ განსაკუთრებული სიფაქიზით უნდა მოვლა და ეს საპატიო საქმე თქვენ გვევალებათ, — უთხრა კაცო ივანიძემ მოსწავლეებს.

წლებიანდელი ვახუშტი გუთავებელი წვიმებით რომ ხსიათ-დებოდა, ეს ცნობილია. ჰოდა, სწორმა წვიმებმა ახალმობარდულ ხეხილებს შორის შალაფა ააბიზინა, ნარგავებს ნიავე ველარ უველიდა, დაიჩაგრა მწკრივებს შორის დათესილი შაქრის ჰარხალიც; საჭირო გახდა სავარგულების სარეველასაგან გათავისუფლება. დაღონდნენ ქალაქელი გოგობიეები: სარეველას კი დაგვეჯეთ, მაგრამ შაქრის ჰარხალიც რომ მივაყოლოთო?.. მებრუნეების ბრიგადირმა კაცო ივანიძემ ღიმილით გადახედა გამოუცდილ თანამშრომლებს, ჰაირ, თქვე მართლა ქალაქელებო! — ხუმრობით შეუძახა, და მერე ყველაფერი აუხსნა: — შაქრის ჰარხლის ფოთლები ჯერ ისე ნორჩებია, თითქმის მიწასაა გაკრული, აი, ეს შალაფა კი, ხედავთ, მუხლზე მოდის, ჰოდა, თქვენც ცოტა ზემოთ წააგლეოთ ხელი და ისე დაგლიჯეთ: შაქრის ჰარხალი უფნებელი დარჩება, ხეხილიც ლაღად ისუნთქავსო.

თქმა და ქმნა ერთი იყო: მკლავდაკაბიწებულ ნორჩი მშრომლები გულდაგულ შეეისინენ სარეველას, თანდათან იწმინდებოდა ნაკვეთები. აქეთ ნინო ნაცყევაძე, ირაკლი ბესიაშვილი და ესმა ქიმუია უტყვდნენ შალაფას, იქით დათო ქურციკიძე და გიორგი გოგვივილი მიიწვდნენ წინ. თანატოლებს არც ბესიკ სურმაგა და ლევან ლორთქიფანიძე ჩამორჩნენ, ისინიც დაუღალავად გლეჯდნენ სარეველებს.

ქალაქელმა გოგობიეებმა, რაკი სარეველას მოუღეს ბოლო, თონებში და ბარები მოიმარჯვეს, ხეხილს ძი-

რები შემოუბარეს, შაქრის ჭარხლის ნათესები გათონხეს, ამით 16 ჰექტარი ხილის ბაღი წესრიგში მოიყვანეს და, ხელშეკრულების თანახმად, კოლმეურნობას 500 მანეთის სამუშაო ჩააბარეს. აღნიშნული თანხა, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, პიონერ-მოსწავლეებმა მეშვიდასე ანგარიშზე ჩაირიცხეს.

ქარელის რაიონის შშრომელები მდლიერებით იხსენიებენ თბილისის 72-ე და 144-ე სკოლების გაერთიანებულ რაზმსაც, რომელიც ორი ბრადისაგან შედგებოდა. პირველ ბრადიდან 144-ე სკოლის მერვეკლასელი ომარ ფილიევი შეთავაზობდა, მეორეს 72-ე სკოლის მეშვიდეკლასელი რუსუდან მახვილაძე ეღდა სათავეში.

ხელშეკრულების თანახმად, რაზმს 1870 მანეთის სამუშაო უნდა ჩაებარებინა ბებნისის საბჭოთა მეურნეობისთვის. თბილისელმა პიონერ-მოსწავლეებმა ხელშეკრულება პირნათლად შეასრულეს. კიდევ მეტი: შრომისმოყვარე გოგო-ბიჭებმა მეურნეობის დირექტორს თხოვნით მიმართეს, ნება დაერთო კვირაში ერთი დღე დამატებით ემუშავნათ მეორე ცვლაში და აქ გამოემუშავებულთ თანხა მეშვიდასე ანგარიშზე ჩაეირიცხათ.

— ასეთ კეთილშობილურ საქმეზე უარის თქმა როგორ შეიძლებაო, — თქვა დირექტორმა და პიონერ-მოსწავლეებმაც გულით იხარეს, უფრო მეტი ენერგიით შეესივნენ დახუძმულ

შვილს, ალიოზა ხარებოვს, იური ამიროვს, სერგო მხითარაიანს და სხვებს, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ვალდებულების განაღდებისათვის.

არავის ეგონას, მასპინძლები — ქარელის რაიონის პიონერ-მოსწავლეები ვულხელაყვანილი იხდნენ და ქალაქელებს შესცქეროდნენ, როგორ მუშაობენო! პირიქით, ისინი თავიანთი მუყაითი შრომით ერთგვარ სტიმულს აძლევდნენ დედაქალაქელ გოგო-ბიჭებს. ქარელის პირველი საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეებს, როგორც უფრო გამოცდილებს, ცოტა უფრო რთული სამუშაო დევალათ — შაქრის ჭარხლის პლანტაციის მოვლა-დამუშავება.

— უნდა გენახათ, რა მონდობებით მუშაობდნენ მეოთხეკლასელი ეთერ მარჯანიძე, მეშვიდეკლასელი

მუშაობისაგან თავისუფალ დროს პიონერ-მოსწავლეები შინაარსიანდ ატარებდნენ. იმართებოდა სპორტული ასპარეზობები ჭადრაკში, „შაშკი“, ფეხბურთისა და ფრენბურთში, დადიოდნენ ექსკურსიებზე, დათვალიერეს ქარელი და მისი შემოგარენი. ძალიან მოეწონათ შოთა რუსთაველის სახელობის წყარო და მტირალა ტირიფებით შემოსაღებული ხელოვნური ტბა. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ექსკურსიამ ქალაქ გორში. ინახულეს ყინვისი თავისი განთქმული ფრესკებით. ბოლოს აგარის შაქრის კომბინატსაც ეწვივნენ, სადაც მალე მათ მიერ ნალოლაეები შაქრის ჭარხალიც მოხვედვა გადასამუშავებლად.

„მატილეებსა“ და სხვებს ერთ-მა რამემ მაინც დასწყვიტა გული — ძალზე სწრაფად გაიარებინა შრომისა და დასვენების ბანაკში გატარებულ-



რა სჯობს აბაჩიანის შრომის უმჯობეს მისარულ დახმარებას

აღუჩის ხეებს და დღეში ყოველი მათგანი თხოთმექილოგრაფიან რვა-ათ ყურის ავსებდა მოკრფვლი ნაყოფით. აბა, როგორ არ შეუქვნიან მარჯვენა მიათა აივაზაშვილს, ანა არაქელიანს, ლუსიანა გარსევან-

სვეტა ჩხეივა, მერვეკლასელები სოსო გაბარაშვილი და არჩილ დავითაშვილი! ისინი ყოველდღიურ ნორმას პირნათლად ანაღდებდნენ, — თქვა საქ. ალკე ქარელის რაიონის მდივანმა მარინა გოდერძიშვილმა.

მა ოცდაოთხმა დღემ. მაგრამ იმის იმედი, რომ გაისად ისევ ეწვევიან ქარელს, ისევ შეხვდებიან აქაურ თანატოლებს, რომელთაც ძალიან დაუშვებობდნენ, კვლავ სიხარულით ავსებთ.

კურდღლები და ჩაიღვები

მთელი ძალები მხოლოდ იმისთვის მოვიკრიბე, რომ ხანზე შემწარანეუბნის საკუთარი ღირსების გრძობა, რომ არ გამოვბადო, როგორ უნდად ვგრძობიდი თავს. ძველი სკოლისა და წამოსვლისა ბევრ მასწავლებელთან და მეგობართან განშორებაზე მწყვეტებოდა გული. განსაკუთრებით მიმძიმდა მეგისტთან განშორება, მაგრამ ოთხი თვის შემდეგ, ერთ დღით, ჩემი ახალი სკოლის კლასში შევედი და მეტი რომ დავინახე, სისწარულისაგან გული ღამის გამოინდო. ისეთი სისწრაული ვიგრძენი, რომლის მსგავსი ვამაინად ვერასოდეს აღაზრდებოდა. მეტი და მე ძველ უბანში მეზობლად ვცხოვრობოდი და ერთად მივედი ნულ კლასში. უცნაური ვიყვნა იყო. ზოგჯერ სრულიად არაფერზე ამისირდებოდა. მესამე კლასში მთელი კვირა მხას მხოლოდ იმიტომ არ მცემდა, რომ მაისში თოვლი მოეხატრა და ვერ მოვუტენე. ერთ დღეს, სკოლიდან რომ უბრუნდებოდი, აინკვირ: თოვლი მოეხატრა და მომიტანეო. აბა, იმ გაგანია მისში თოვლს სიადი გავეუჩნდი. მეორე დღით, სკოლისკენ რომ მივდიოდი, ფანჯრიდან ვადმომხასა, დამიცადეო და კისრისტეხის ჩამოირბინა კიბეები. სელში მუყასის პატარა ყუთი უჭირა. თვალები უცნაურად უელავდა. ყუთი გამოიწილდა.

— შედეგულათო, აბა, ნახე!
 ყუთი გავსენი. იგი თოვლით იყო სავსე.
 — საიდან, შევი!
 — მომართე! — სასაცილოდ გაიპრანსა. — შენ რომ პრინცი იყო, ან რაინდი, აუცილებლად მომართმევდი, რასაც ვისურვებდი. რაინდებს ყველაფერი შეუძლიათ. ისინი უკვდავების წყალსაც კი მოულობენ. შენ კი კურდღელი ხარ, მიციფრიდანაც კი თოვლი ვერ გამოიტანე!
 — მომხალა და გაიტყე. ის იყო და ის, ერთი კვირა ხმას არ მცემდა.

მე ძალიან დამაღონა მეგის სიტყვამ, კურდღელი ხარო. კურდღლობა ნამდვილი არ მინდოდა. ეს ამბავი ჩემს მეგობარს, ამიკოსს მოუვლეთვი.
 — ამაზე ნუ იღარდებ. შენ არც პრინცი ხარ და არც კურდღელი, რაინდი კი შეიძლება გახდე. რაც შეეძლება თოვლს, მაციფარიც არც შე გამახსენდებოდა.

დაწყებით კლასებში მგობრობა ადვილია. ამ ასაკში ბავშვები ისე ვეგავართ ერთმანეთს, როგორც ადრეულ გაზაფხულზე მცენარის ჯვარც გავუმჯობესო ფოთლები. ამიტომაც ადვილად ვუბრუნებდი ერთმანეთს. ურთიერთობაც იოლია. ამ პერიოდში იმასთან მეგობრობ, ვისთანაც უნდა ან ვინც საღვრე რეზინს გცივლობდეს, ან უცხოურ მარკას რუმელიმე მხანობის სურათში თუ უცხოურ საშუალო რომშინიმე გაგივლებს. მაგრამ გადის დრო,


იმლებიან ფოთლები და სულ სხვადასხვა ფორმასა და მოხაზულობას იღებენ. ასაკ ადამიანიც. ზრდასთან ერთად დამორებს ვიწყებ, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვმორდები ერთმანეთს. იკვებება ხასიათის სხვაობები და თავისებურებები. ახლა ვიღაცას ვიღაცისგან არჩევ რაღაც მინაგანი ნების კარნახით. თავისებური იყო ჩემი და მეგის მეგობრობა. მეტი ძალის ნმირად მიმლიდა ნერვებს. ვინ იცის, რამდენჯერ გადამიწვევტია, არ მეშვევობრა მასთან, მაგრამ ვაივებდა თუ არა ერთი საათი, წყნა უკვე მავიწყდებოდა. ჩვენს ურთიერთობაში ერთი რამ იყო სასაცილო. თუმცა მაშინ ვე სთვლაც არ მეჩვენებოდა სასაცილოდ. მეტი, როგორც კი მე გამინარაზდებოდა, ვიო შევილაქძე მოვედებოდა და ისე ტკბილად დაუნწყებდა ჭკაჭკუს, რომ იფიქრებდი, უამისოდ წუთსაც ვერ გაძლებსო. ასეთ დროს ვიოს ისე ხმამაღლა ეძახნდა, თითქოს მდინარის გაღმა-გამოღმა იმყოფებოდნენ:

— გიუკა!
 თანაც, არ მოვწონო? — „გიუკა!“

გიო ბავშვადავყვივით ბიჭი იყო. ყველაზე ღონიერი და მაღალი ჩვენს კლასში, მაგრამ კურდღელივით მდრთხალი და მშინმარა. ერთ შეყვებზე მეტიმ ჩემთან მოიბრინა და ხმამაღლა მეუბნება:

— დივი, (რატომლაც დივის მეძახდა და ეს ძალიან მომწონდა), შენ რატომ ხარ ასეთი სუსტი? აი, ვიოსავით ღონიერი რომ იყო, მაშინ რაინდი იქნებოდი. ვიოს შეეძლია, როცა მოისურვებს, მიგყყოს! — თქვა და გაიქცა.

მეგის სიტყვებმა ძალიან დამაფიქრა. ვიოს მართლაც შეეძლო ჩემი მიტყევა, მაგრამ ამისათვის გამბედაობა არ ეყოფოდა. მევე რომ არა, მე ბევრ რამეში ვჯობნიდი ვიოს: სირძილში, სიგრძესა და სიმაღლეში სტომამში, შვედურ კედელზე ასვლაში; ფეხბურთში სომ ვჯობნიდი და ვჯობნიდი. მიუხედავად იმისა, რომ ღონიერი იყო, არასოდენ მინახავს, ვინმესთან ენხუმბოს. მეც არ ვიყავი დიდი ბედენა მოხნუბარი, მაგრამ თუ აუცილებელი იყო, შემძლო მეჩნუნხა. ამან კი გამახსენა: ერთსულ მე, უნა და გიო სკოლიდან მოვდივართ (ჩვენს ერთ ქუჩაზე, ერთ მხარეს ცესოვრობდით). ჩვენი ქუჩის აუთსეში დავინახე ოთხი ბიჭი მეზობელი ქუჩიდან. რაც ფეხბურთი მოუვგეთ, იმის მერე ჩვენი შეხედდრა უხუნობრად არ მოთავრდებოდა. ვხედავ, ვიოს ფერი წაუჭებდა, უცებ შეჩერდა და თქვა, კლასში რაღაც დამარხა და უნდა დავბრუნდეო. გატრიალდა და მოცოცხა. დამფრთხალი კურდღელივით გაბოზდა. მეც შემემინდა და უნას შევყვივით:



უძრავს. ანან კიდევ უფრო გამაღიაზიანა.
 — არ გეყურებ? თუ შეგიძლია, მცემე-მეთქი, —
 ციშობს — და ცხვირზე მწარედ გაავარდნი წყაპურტო-
 გიომ ისე შემომხედდა, როგორც გიგის, რომელსაც
 სჯობს მალე გაეცლო, თორემ უვეჯვლად რაიმე ხიფათს
 გადაგვრის. გიომ ცხვირის ისრებს და უსიტყვოდ მშორდებ-
 ბა. უცებ საკუთარ თავზე გაეგზაზღო. საშინელი უკმაყოფი-
 ლების გრძნობა გამიჩნდა და გადაწყვიტე, დღეიდან
 არასოდეს შეწყენინებინა გიოსთვის.

შევიმ პირობა დამადებუნა, რომ მსგავს სისულელეებს
 არასოდეს არ ჩაივლიდი, და თან დაუმატა: მამანჩემი
 ყოველთვის ამბობს — ვაკაკობის დასამტკიცებლად ხე-
 ლოვნური სიტუაციის შექმნა სისულელეა, ცნობრება
 ისედაც ბევრ გამოცდას მოგიწევს და მამინ არ უნდა
 ჩაიჭრაო. სიტყვამ მოიტანა და მინდა გიოსთან, შეგის
 მამა მხატვარია, დედა — არქიტექტორი. ორი ოთახიდან
 ერთში, რომელიც შედარებით დიდი და ნათელი იყო,
 შეგის მამის სასელოსო ჰქონდა მოწყობილი. ეს იყო
 რაღაც ზღაპრული, მომაჯადოებელი სამყარო, სადაც
 იდუმალი სიცოცხლით ცხოვრობდნენ მხატვრის მიერ
 შექმნილი გმირები. თვითონ შეგის მამაც იმ საოცარ
 სამყაროდან მოსულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებ-
 რივ ადამიანს. მას ერთნაირს ვერასდროს ვერ ნახავდი.
 ზოგჯერ საათობით იკეტებოდა სოლმე ოთახში, მამინ
 ყველანი ფეხისწვერებზე დადიოდნენ და ერთმანეთს
 სურნულით დახარბავდნენ. იმიტომ კი არა, რომ
 ვინმე უკრძალავდა სმამაძალა ლაპარაკს, არამედ ხელი
 არ უნდოდათ შეუმალათ. მე ბევრჯერ მინახავს საათო-
 ბით შეუსვენებელი მუშაობის შემდეგ თავის ოთახში
 გამოსული ძია ავთანდილი ბავშვივით მხიარული, გულ-
 ღია და ენაშიწრებული. მაგრამ ბევრჯერ შეგვევდრი-
 ვარ ნაღვლიანი, გაწამებულს და დაღლილს. ასეთი მა-
 შინ იყო, როცა სურათი არ იწერებოდა, როგორც თვი-
 თონ იცის თქმა, მის ნებას არ ჰყვებოდა, ჩანაფიქრი არ
 გამოსდიოდა. როცა მხიარული და კმაყოფილი იყო, ყვე-
 ლამ იცოდა, რომ სამუშაო კარგად მიდიოდა.

ერთხელ, როცა შეგისთან ვიყავი, ვხედავ, ძია ავთან-
 დილის საბუთო ოთახის კარი მოღიავეულია და იქი-
 დან ჩამიჩემი არ იმისი. კარს ფრინულად ვუბიძგე და
 ოთახში ქურდივით შევიბარე. იქვე, კართან შევჩაგრე —
 გაოგნებული, მოვადრებული, სუნთქვამერკული. ერთ-
 ბიძამედ სულ სხვა სამყაროში მოვხვდი — საოცრად ლა-
 მხასხა და იდუმალ სამყაროში. ყოველ სურათს თან ახ-
 ლდა საკუთარი სითბო, მომწუსსველი სიღამაზე და უც-
 ნაური სიცოცხლის სურნელი. ჩემი ყურადღება მოღმერ-
 ტზე დამაგრებულმა ახალდამთავრებულმა სურათმა მი-
 იაყრო. მწვანე, აბიბინებულ ცვრიან მინდორზე მიპქრო-
 და ორი ცხენი. ისინი თითქოს სივრცეში კი არ მოძრა-
 იბდნენ, დროში მიპქროვდნენ იქით, საიდანაც მზე ამო-
 დიოდა. ჰაერი კი გაეჯვრებინა სიცოცხლის საზვიმო ქო-
 რალს, ცაღ აზღვლენილს...

— დევი, მოგწონს? — ჩამეხმა ანახდა.
 შეგვრით და მოვისხედა. ფანჯრის გვერდით, სკამზე
 შეგის მამა იჯდა დალილი, მაგრამ კმაყოფილი ხასით.

— უნ, არ გეშინია?
 — კი, მაგრამ ჩვენც სომ კურდღლები არა ვართ, რომ
 გავიტყვო!

გაცეკვა კი არა, როგორც კი სელი მომხვდა, სულ გა-
 მიქრა შიში და მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა, და-
 მუძლია მოწინააღმდეგე. უცებ შეგის ყვრილი გავიფოვნე:
 უნ, დევი, არ შეგეშინდეთ, მეც აქ ვარო, და ჩანთით
 დაურია ბიჭებს. ერთს ისე მწარედ მოარტყა ჩანთა სახე-
 ში, რომ მოწმურებები მისმა ღრიალმა შეგვანერა. ასლდა
 კი შეგის შენიშენმა საძაველ გუნებაზე დამაყენა და დე-
 რფანში გამოკედი. ვხედავ, გიომ მოღის და რაღაცს
 მოიფიქრებდა. როცა დროს იმოვიდა, ყოველთვის რაღა-
 ცას ჰმადდა. დღე ერთი იყო და ის რამდენჯერმე ჩაიფი-
 ლდა ბუფეტში.

— ჰეი, ქონტრასტო, არ ვასკვდ აშდენი ჰამით! —
 შევძახე და გზაზე გადავრევიქი. ვიფიქრე, ამიშარდებმა
 და ჩსხებ დამიწყებს-მეთქი. მან კი გვერდზე ისე ჩამიარ-
 ბა, თითქოს უსული საგანი ვყოფილიყავი. „არაფრად
 ჩამავლო!“ — გაეფიქრე. როგორი ამბავია, როცა არაფრად
 გავდებენ! გიოს კლასში შევდიე. ახმაურებულ კლასს
 თვალი მოვაგვე, ვისი ყოფნაც ასლდა აქ მინდოდა, ფან-
 ჯარასთან იდგა და იას ელაპარაკებოდა. თითქოს ჩემი
 შემოსვლა შეემინ იგზნოთ, მოიხედა და წვეუი თვალებში
 ერთმანეთს შევიხედა. გიოსთან მივედი და აგდებთ ვუუ-
 ნებო:

— თუ შეგიძლია, მცემე, მიდი, დამარტყე!
 გიომ უკანასკნელი ლეკმა სასწრაფოდ გადაყლბა
 და გაკვირვებული მომამტყვრდა, მაგრამ კრინტი არ და-

მარცხენაში მოუკიდებელი სივარტი ეჭირა, ხოლო მარჯვენაში ხალხბაჭყალი ყალბი.

— ძალიან, ძია ავთანდილ. სიცოცხლის ზეიშია. თითქოს ყველაფერი მღერის: ბალახიც, ცვარიც, სივრცეც და სანითლაც. ცნებები თითქოს იდუმალი მუსიკის რიტმზე ცეკვავენ...

ძია ავთანდილმა უცნაურად გამიშტერა თვალები. ვიგრძენი, როგორ მომძალა სახეზე სიწითლე. ნერწყვი გამიშრა. ვიფიქრე, რაღაც სისულელეები წამოვროშემოქტი. ძია ავთანდილი უსიტყვოდ წამოდგა, მოვიდა და მხარზე ხელი გადამსხვია.

— ყოჩაღ, დეი, რა კარვად მითხარი. სწორედ ის არის, რასაც მე ვფიქრობდი, და რადგანაც შენ ეს ასე კარვად იგრძენი, მაშასადამე, მიზანს მივაღწიე. მე ამ ტილოს შენს მიერ შერჩეულ სახელს დავარქმევ — სიცოცხლის ზეიში. გამაწამა ამ სურათმა, დეი. ვინ იცის, რამდენჯერ ჩაბაგლო სასოწარკვეთილებაში, მაგრამ, ეტყობა, მაინც ვძლიე. ზოგჯერ სურათი ერთი ხელის მოსმით, თითქოს ერთი ამოსუნთქვით იწერება, ზოგჯერ კი გაგაწამებს, არადა, რომ უფორბე, თითქოს ყველაფერი რიგზეა — არც ტექნიკა აკლია, არც სიზუსტე, წერის მანერაც შენეულია, თემაც გადაწყვეტილია, მაგრამ გრძნობ, რომ მაინც ის არ არის, რაც ვინდობდი. არ სუნთქავს დამოუკიდებლად, რაღაც აკლია, რომელიღაც ნერვი არ ფუთავს, რომელიღაც ძარღვი არ მოძრაობს სისხლი და ისევე თავიდან იწყებს, ვეძებ, ვეძებ იმ ძარღვს. თუ მიაგვნი ამ იდუმალ სიცოცხლის წყაროს, მაშინ ცის კარი ეგხსნება, რადგან მოწმე ხდება, როგორ იწყებს სიცოცხლეს შენი ოცნება, შენი ჩანაფიქრი...

ოთახში მეგი შემოვიდა. მას თეთრკაბლუბიანი წითელი სარაფანი ეცვია და ისეთი ლამაზი იყო, რომ თავი ვერ მოვწყვიტე. ძია ავთანდილმა რაღაცნაირი, უცნო, შემფახებლური მზერით შეხედა, იგივე მზერა მომამყრო მე და წუთით გაიჩინდა. მერე მიისხედ-მოისხედა, თვალებით რაღაცა მოძებნა და სახე გაუნათდა.

— ასლავე, ბატონებო, ასლავე! — წამოიძახა. ძველისძველი სავარძელი გამოათრია და მოლბერტის გვერდით დადგა. ეს იყო მაღალი, ჩუქურთმებიანი სავარძელი. ძია ავთანდილმა სავარძელს შეხედა და ისევ წამოიძახა:

— ო, კარგია! ასლავე, ბატონებო! — მოლბერტიდან სურათი აიღო, შედ ასალი ტილოვადამივილი ჩარჩო დაღო და მოგვიბრუნდა:

— აბა, დაბრძანდით სავარძელში! მე და მეგი სავარძელში ჩავჯექით და მომლოდინე მზერა ძია ავთანდილს მივაბყარით. იგი ერთხანს უსიტყვოდ გვათვალიერებდა: ხან ასლოდან, ხან შორიდან, ხანაც გვერდიდან შემოგვხედავდა.

— ქალბატონო მეგი, თქვენ ცოტა უკან, სავარძლის ხილრმისკენ ჩაიწიეთ! ისაუბრეთ. მე ნუ მომაქცევთ ყურადღებას, თითქოს აქ არცა ვარ!

რამეზე. ძია ავთანდილი კი მუშაობდა. დღითი დღე ჩვენი სახეები სულ უფრო და უფრო იკვეთებოდა. ერთ დღეს, როცა, ჩვეულებრივ, მათთან მივედი, კარია მეგემ გამიღო. შევხედე თუ არა, მივხედი, რომ ძალიან ცუდ გუნებაზე იყო. სახლში მძიმე, უსერხული დუმილი იდგა. მეგის დედა ნამტირალევი ჩანდა. თვალები ჩასწითლებოდა და ქუთუთოები დაბერვოდა. ამ დროს საბა-



ერთი თვე, გაკვეთილების შემდეგ, მე და მეგი სავარძელში ვისხედით და სმადებლა ესაუბრობდით ათას

ზანოდან ძია ავთანდილი გამოვიდა. მე თვალებს არ ვუ-
ჯერებდი. იგი ოცდაჩვიდმეტი წლის კი არა, სამოცდა-
თხუთმეტი წლის დანაჩანაკებულ ბებერს ჰგავდა. დაბ-
ნეულად მომხალამა და ნაძალადევი ღიმილით მითხრა:

— დევი, შენთან ბოდიშს ვისდი, მაგრამ დღეს ვერ
ვიმუშავეთ!
თვალებში შევხედე. ღმერთო, როგორი ნაღვლიანი
და სასოვარკეთილი თვალები ჰქონდა.

— კარგად ბრძანდებოდით! — წავიბურტყუნე და კა-
რისკენ წავიქედი.

— ერთი წუთით დამიყადე! — წამწურწულა მეგობ.
კარი ფრთხილად გამოვლავე და ვარეთ გამოვედი. მე-
გიც მაშინვე გამოვიდა. კაბაზე თხელი ცისფერი კურტა-
კი მოეხსა. კიბე უსიტყვოდ ჩამოვიარეთ. ქუჩაში რომ
გამოვედი, მხოლოდ მაშინ ამოვიღე ხმა:

— მეგი, რა მოხდა?!
— ამას წინათ სომ ვითხარდი, სავაზაფხულო გამოფე-
ნა ეწყობა-მუქი. მამა იმ გამოფენაზე დიდ იმედებს ამ-
ყარებდა. ექვსი სურათი წარადგინა, მაგრამ მხატვართა
კემპირის კომისიამ მხოლოდ ერთი სურათი მიიღო.
იმისთვისაც დიდი ბრძოლა დასჭირდა თურში.

— რატომ?! ძია ავთანდილს სომ შესანიშნავი სურა-
თები აქვს!

— მერე რა, — მხრები აიჩნა მეგობ, — იქ, მხატვარ-
თა კამერში, არის ხალხი, რომლებსაც არ მოსწონთ
მამა, ხელს უშლიან. დედას ლამის გული გაუსკდეს. მა-
მა ადრე ამბობდა, ოღონდაც კიდევ ცოტა ხანს როგორ-
მე გავუძლოთ და მეგრე ყველაფერი თავის რიგში წაი-
დგება. მე მწამს, რომ სულ მალე ყველაფერს თავისი სა-
ხელი დაერქმევა, ნიჭი არ დაიკარგება.

— ორდის, ავთანდილ, როდის?! — ეკითხება სასო-
წარკეთილი დედა.

— თავის ღროზე, ჩემო სალომე, თავის ღროზე! —
ბასუხობს მამა იმედიანად. დღეიდან კი დედას არაფრის
იმედი არა აქვს. არადა, დედამ მამას შესწირა თავი. თა-
ვის პროფესიაში არაფერი გრეკეთებია, თუმცა წითელ
დილობაზე დაამთავრა და ბუჩქნარში მომავალი წაი-
ნასწარმეტყველებდნენ. ყველაფერი გააკეთა იმისათვის,
რომ მამას ემუშავა მშვიდად.

— რომელი სურათი მიიღეს?

— შენ რომ სახელი დარქმევი.

— მეგრე, ისეთი კარგი სურათი თუ მიიღეს, გინდაც
ერთი იყოს.

— არ ვიცი! — მხრები აიჩნა მეგობ. — მამას იმიტომ
დაწვდა გული, რომ შოგი უნიჭო მხატვრის სუთი და
ექვსი სურათი მიუღიათ. ვფიქრობ, მამა არასოდეს გაე-
კარება ფუნჯებს... ახე თქვა.

მეორე დღეს გაკვეთილების შემდეგ მეგობთან მისე-
ლა სულ არ მიფიქრია, მაგრამ თვითონ მოვიდა ჩემთან.
გასარებულს თვალები უბრწყინავდა.

— დევი, ჩვენა წამოდი, მამამ ჩვენს სურათზე უნდა
იმუშაოს! — სულმოუთქმელად მომხანარა.

ძია ავთანდილმა ისევ ვანახალა მეუბნა. ორ კვირა-
ში დაამთავრა ჩვენი სურათი და იმანაც ოთახის კუთხე-

ში ერთმანეთზე პირუკლება მიწყობილ სურათებთან
დაიკავა ადგილი.

გამოყენის გახსნის ერთი კვირის შემდეგ მე, დედა,
მამა და ქეთი ვეწვიეთ გამოფენას. იქიდან რომ გამოვე-
დით, მამაჩემმა უთხრა დედას:

— თინ, მე მკლოვეზების ბებერი რამ არ გამეგება, მაგ-
რამ, ჩემი აზრით, ამ გამოფენაზე ავთანდილ ამირჯიბის
სურათი ყველაზე ბრწყინვალეა!

დედაც უსიტყვოდ დავთანხმდა. ამან ძალიან გამახარა.
შინ მივედი თუ არა, მშობლების ნათქვამით მეგი რომ
გამესარბინას, მასთან ვავიქეცი. კარი მეგობ გაიღო და
ვიდრე სმას ამოვიღებდი, ტუნებზე თითი მიიღო და საი-
ღუმლო სხით წამწურწულა:

— სტუმრები გვეყავ! — ხელი ჩამიკადა და ცერებზე
შემდგარმა თითქოს შემპარა სახლში. სამაზრეულოში
გავედი. მეგობ კარი მიხურა და მითხრა:

— „ლიტერატურაია გაზეტის“ კორესპონდენტები
არიან. გამოფენა დაუთვალავიერებით, მამაჩემის ტილო
მოსწავნიდა და აქედან დაიწყო: პერსონალური გამოფენე-
ბი მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, პრადში, სარ-
ბრიუკენში, ტალინში, რომსა და პარიზში. გაზეტომსა
და ჟურნალბში ზედმედ ქვეყნებოდა შესანიშნავი
წერალები. მართალი გამოდგა ძია ავთანდილი: სახელი
თავისით მოიდა მის ჯემშარტე პატრონთან.

მალე მია ავთანდილი ოთხთახიანი ბინა მისცეს
ჩვენს ახალ კვარტალში, და მე და მეგი ისევ ერთ კლას-
ში აღმოვჩნდით.

2

ახალი სკოლაც და ახალი უბანიც მალე მშობლის
განდა ჩემთვის. მაგრამ ახალ სკოლაში მისვლის მეუ-
თე თვეს მივინ შემემთხვა დიდი უსიამოვნება. იმ დღეს
მესამე გაკვეთილი ქართული ლიტერატურა გვეწონდა.
შესვენებაზე უფროს ჰოიონრებმძღვანელს ვესმარებო-
დი ჰოიონერთა ოთახის მოწყობაში, ამიტომ მასწავლე-
ბელმა ერთი ნაბეჯით შემასწრო გაკვეთილზე.

— გიორგი მასწავლებელი, ბოდიშს ვისდი დაგვიან-
ებისათვის. შეიძლება? — კარი შევლავ და ვკითხე.

— დევი, ჯერ სამასწავლებლოში ჩაირბინე და ჩვენი
ჟურნალი ამოიტანე!

მამინ ჩვენი კლასი მესამე სართულზე იყო, ხოლო
სამასწავლებლო მთავრ სართულზეა, ზედ საპარადო კი-
ბის გვერდით, ორიოდ ნაბიჯზე. კიბე ჩავირბინე და რომ
მოვესვი, უცებ ჩვენი კლასელი გივი ფურცხანიძე შე-
მეხსა. რატომღაც უცნაურად შეკრთა, ვვერდზე უსიტყ-
ვოდ ჩამიქროლა და კიბეს აუყვა. სამასწავლებლოში
არავინ იყო. ჟურნალების თარიღზე ერთადერთი ჩვენი
ჟურნალი იდო. თარიღების გვერდით ქაღალის ყავისფერი
ჩანთა და ქაღალის ჯაყეტე ეკადა.

— გმადლობ, დევი, დაჯექი! — მითხრა მასწავლებელმა, თურნალი რომ ამოვუტანე.

ის გაკეთილი და შესვენება ჩვეულებრივად გავიდა. მეოთხე გაკეთილი კლასის დამრიგებლის, ელენე მასწავლებლისა გექონდა. იგი გეოგრაფიის გვასწავლიდა. ზარი დაირეკა და კლასში ელენე მასწავლებელთან ერთად შემოვიდნენ ჩვენი სკოლის დირექტორი, ფიზიკულტურის მასწავლებელი, მოსწავლეთა კომპაქტორის კომიტეტის მდივანი ნუგზარ როყვა და პროექტორული მტაბის უფროსი ნინელი თოღუა.

— დასხედით, დასხედით! — თქვა დამრიგებელმა და კლასს მზერა მთავლო — სახე შეკერი ჰქონდა.

— შიშიე დღეა! — ამოიოსრა მანგუსტამ, მაგრამ მის მეტს ხმა არავის ამოუღია.

კლასში ავისმომასწავლებელი, შიშიე დუმილი ჩამოწვა.

— დეე, შენ რომ სამასწავლებლოში შეხვედი, იქ იყო ვინმე? — მკითხა ელენე მასწავლებელმა და, როგორც ნერვიულობის ვამს სჩვეოდა, უხადოდ დაჯარცხნილ თმაზე ხელი გადაისვა.

გულმა რეჩნი მიყო. მიხვდები, რაღაც ვერ იყო საქმე კარგად.

— არავინ არ ყოფილა, ელენე მასწავლებლო!

— ჩინუა, როცა მასწავლებელს პასუხობ, უნდა იჯდე? — მომესმა დირექტორის შეკერი ხმა.

— ბოდიში, ელენე მასწავლებლო, არავინ არ ყოფილა! — წამოვდექი და ისევე გავიმეორე. ისეთი გრძობა გამიჩნდა, თითქოს მსრებზე უზარმაზარი ტვირთი დამაწეა. ვგრძობდი, რომ ყველანი მე მომჩერებოდნენ. ნერწყვაამრალს, საფეთქლებს მოწოდოილი სისხლის სმარალი მესმდა.

ელენე მასწავლებელს არაფერი უთქვამს. სახე კვლავინდებურად გაქვავებული და ცივი ჰქონდა. წამიერ დუმილოში კითხვის ნიშნით სახეე მზერა დირექტორის და ფიზიკულტურის მასწავლებელს შეეკვლე. მათ თითქოს თვალთ ამარიდეს. აპასობაში დირექტორმა ხმამაღლა თქვა:

— ბიჭები გამოდით და დაფის წინ დადეთით! სწრაფად, სწრაფად!

გამოვადით და დაფის წინ კედლის გასწვრივ ჩამეწკრივდი. დირექტორი ახლა როყვას და თოდუას მიუბრუნდა და მშრალად უთხრა:

— დაიწყეთ!

როყვა და თოდუა უსტიყვოდ შეუდგნენ ჩვენი ჩანთების ჩსრეკას.

— თქვენ კი ჯიბეები გადმოაბრუნეთ! — ისევე გაისმა ბრძანება.

— კი მაგრამ, პატრეცემლო, ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ, რაშია საქმე?! — იკითხა უკმაყოფილო სმით კობრამ, სახეზე წამოჭარსლდა და სათვალე თითით გაისწორა.

— რა სდებდა და, სამასწავლებლოში ნინო მასწავლებლის ჩანთიდან ვა ოცდაცამეტი მანეთი ამოიღეს! — ლამის სახეიდან გა მოყვანდა დირექტორმა. — ახლა სომ გისაგებია, კომპივილო!

სახეზე თითქოს ცეცხლი მეკიდა. გავაგნებული, უკა-



ნასწავლი იდიოტიით მიჩერებოი დირექტორს და ძალიან მიწოდდა რაღაცა მეოქვა. მეგონა, საცა ჩაკეციეტი-მეოქვი, რადგან ეს ოსერი მუსხლეში ისე დამირბილდა, როგორც ცეცხლს მიფიცებული ცვოლი.

არავინ განძრეულა. ყველა მე მომშტერებოდა. მე კი მიწოდდა მეყვირა, რას მომშტერებიხართ-მეოქვი, მაგრამ კრინტს ვერ ვძრავდი და, როგორც დამნამავე, თვალს ვერავის ვუსწორებდი. უცებ თვალში იგიე მომხვდა. მსოლოდ მას ამოებრუნებოინა ჯიბეები და ღორის ყურბივით ეკიდა გვერდებზე, ხოლო ხელში გავრევილი სამმანეთიანი ვჭირა. სახე უსიცილოდ გადბატეკოიდა და ტუჩების ირგვლიე უმწიფარი კომპის ფერი ეღო.

— თქვენ არ ვესმით, გადმოაბრუნეთ-მეოქვი ჯიბეები! — ხმას აუწია დირექტორმა.

უეცრად მეც არ ვიცი, რა მოხდა ჩემში, ადგილს მოვწყდი და კლასიდან ცეცხლმოკიდებულოვით გამოვვარდი. წუთის მეტე სკოლის ეზოს გართ ვივაკი. უკან არავინ მომდევდა. რამდენიმე ნამიჯი კიდეე ვავირბინე და შეეჩერდი. გული ამოვარდნაზე მქონდა, თავში აშლილ სასახეთი ზუზუნებდა რაღაც. მერე დაიდა ჩემამდე, რაც გავაკეთე. ახლა სომ ვერავის დააჯერებდი იმაში, რომ ფული მე არ მეღო ჯიბეში, მაგრამ თუ დამიჯერებთ, ამ წუთში ეს უფრო ნაკლებად მადარდებდა, რადგან მე სომ ვიცოდი, მართალი ვივაეი და არც იმაში მეგბარე-

ბოდა ეჭვი, რომ სახლში გამოგებდნენ, ვინაიდან მშობ-
ლებთან ტყუილი არასოდეს არ მითქვამს. პატარაობი-
დანვე იმას მიჩინებდნენ, ოღონდაც ნუ მოვატყუებ, ოღონდაც
სიმაართლე გეთხარო და არაფერზე არ დავს-
ჯიო. რამდენჯერაც შევეხადე, ტყუილით გამოვტყუა-
დივარე, იმდენჯერ ნავეარდა და განსაკუთრებული სიმ-
კაცრით დამსაჯეს. ისიც ამისხსნს, რომ ჩაღვნილი დანა-
შაულისათვის კი არ მსჯიდნენ, არამედ ტყუილისათვის.
ამის მეტი ყოველთვის სიმაართლე ვამზობდი. მართა-
ლია, ზოგჯერ ეს სიმაართლე ძალიან ძნელი სათქმელი
იყო, მაგრამ თითქოს საკუთარი თავის ჯიბრზე მაინც
ვამზობდი. მშობლებიც ყოველთვის იცავდნენ პირობას
— არასოდეს არ მსჯიდნენ. მე ასლა, როგორც გითხარით,
ჩემი საქციელი მაფიქრებდა: რამ მიბოძვა, რომ ასე მო-
თქვიყნი? ისევ ვერძნობდი ჩემკენ მომართულ სახეზე,
თითქოს ჩემი სახეც დაეინახე, ლენჩივით რომ მისჩერე-
ბოდა დირექტორს. ანაზღად ყველა გაქრა და თვალწინ
გივი დამიგდა. გაბასხუნდა, სამასწავლებლოში ჩასვლი-
ნას კიბეზე რომ შემეჩნა და საოცრად შეკრა. მერე,
დაფის წინ ბიჭებს შორის მდგარს მარტო მას რომ უკონ-
და ჯიბეები ათობრუნებული და მიცვლადულივით ფერ-
გამკრთალ სახეზე შიში აღმეკვდოდა. უცებ, რატომღაც,
გამიჩნდა აზრი, რომ ფული გივის მოპარული იყო. რაც
ფული მეტს ვუჭირობდი, მით უფრო ვერწმუნდებოდი ამა-
ში. მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ეს ასლა ვერაფერს შეე-
ცივდა. ჯერ ერთი, გივი რა შეილი იყო გამომტყდარი-
ყო, მეორეც, ჩემი ასეთი საქციელის მერე ვის მოუვი-
დოდა აზრად სხვაზე მიეტანა ეჭვი... შინ წასვლა არ მეჩ-
ქარებოდა, გზიდან გადაღუვლევი და იქვე, გზის გაღაღმა
მშენებარე ცხრასართულიანი სახლის წინ დაწოთილ
პანელუმზე ჩამოვჯექი.

— რაო, გამოვაშეყვს?! — ჩამესმა და, ვიდრე თავს
აეწვედი, სახეზე ჩრდილი დამეცა. ავისყვე, ჩემს წინ
საშუალო სიმაღლის, მრგვალი სახის, შავტუხა, მკერდ-
გაღელვლი ბიჭი იდგა და დამცინავი ღმილით შემომც-
ქროდა. მე შორიდან ვიღწობდი მას, ჩვენს იქითა კვარ-
ტალში ცხოვრობდა, რომელიღაც პროფტექნიკურში
სწავლობდა და თითქმის მთელი დღე გასტრონომის
ვერდზე იდგა ვიღაც-ვიღაცეებთან. არაფერი მიპასუხნია.
მუდგობილად შეუყურებდი სახეში და თვალმხრის ციკრ
ვასახსამებდი. ის, რატომღაც, თვალმხრის ვერ აჩერებდა.
უცნაურად, აცხატა გაუზრობდა შავი, უსიამოვნო თვალე-
ბი.

— ვინ გაწყენინა?! — თვალი ჩამიკრა, ჯიბიდან „კოს-
მოსი“ ამოიღო, გასხნა, სიგარეტი პირში გაიჩარა და
კოლოფი მსე გამომიწოდა. — აბა, მოწიე, ნერვებს დაგი-
წყნარებს!

— არ ვეწვივი! — ზანტად ვუთხარო.
— თუ ვინმეც გაწყენინა, მითხარი, დედას ვუტყვირებ!
— სანთმებლა ამოიღო, ჩამოჰკრა და სიგარეტს მოუმარჯ-
ვა.

არაფერი მითქვამს. ჭორფლიან სახეზე შეეცქეროდო
და ვცდილობდი გამეხსენებინა, ვის მაგონებდა ეს სახე.
— დრუგ, სამი მანეთი მასესხე დღის პოლომდე!

ჯიბეში საშოცი კაპიკი მეღო. უსიტყვოდ ამოვიღე და
გაეწვიე:

— დაიჯერო, მამაშენის შეილს მეტი არა აქვს?
— რაც მათქვ, ევაა, თუ არ ვინდა... — ხელი ისევ

მისკენ წაიღე.
— მოიტა, მოიტა! — ხელიდან ლამის გამოშტაცა. — ამ
სალამონზე დაგიბრუნებ. შენ თუ ფიქრობ, მე ვაგონებს არ
ვაბრუნებ და შეუტიაზე ვცხოვრობ, შემიტყუარა!

— მე არაფერსაც არ ვფიქრობ!
— რა გეცია?
— და ვევი?
— ოა!

ვერ გავიგე, რას ნიშნავდა ეს „ოა!“
— მამაშენი ხომ პროფესორია?

თავი დაგვიწიე.
— მერე, ამის მეტ ფულს არ გაძლევს?!
— ფული რაში მჭირდება!
— გივი ფურცხვანიძე შენი კლასელია, ხომ?
— კი.

— პოდა, იმას კითხე და გეტყვის, ვინ ვარო.
— რაში მჭირდება, — მსხრები აჩეჩეთი ვუთხარი.
— რა ვიცი, ხალხნი ვართ, ვინ რაში დაუჭირდებით
ერთმანის. აბა, კარგად იყავი!

თვალშით მივაცილებდი მიმავალს და ვერაფრით
ვერ მომელოებინა, ვის მაგონებდა. ცოტა რომ გაიარა,
უცებ ფეხბურთელის სხარტი მომართით კონსერვის ცა-
რეულ კოლოფს ლამაზად ამოარტყა ფეხი და მამინვე
გაბასხუნდა, ვისაც ვამსგავსებდი. ქობულეთულ თენგიზ
თოდბექს ჰგავდა ძალიან. მას რესპუბლიკის ნორჩ ფუნ-
ბურთელთა საგაზაფხულო შეკრებაზე შევეხდი. პირველ
ნაკრებში თამაზობდა. კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ
თავხედი და გულდრძო მოთამაშე. თუ ვინმე ბურთს წა-
ართმევდა, ჰკუას კარგავდა და მტერივით არ ინდობდა.
სადაც და როგორც კი მოიხელთებდა, დასამტერვედაც
არ დაეანებებოდა. შეკრების მესხეთე დღეს პირველი და
მეორე ნაკრები ერთმანეთს შეხვდით. თამაში დავი-
წყეთ თუ არა, შევნიშნე, თენგიზს ყველა დამინებული
ჰყავდა და წინ არავინ უდგებოდა. მეშინოდა მეც და პი-
როსპირ შეხვედრას გაუბრუნოდა. არადა, აშკარად ვგრძ-
ნობდი, რომ შემეძლო ბურთიც წამერთამია და მომეტუ-
ებინა კიდეც. რამდენჯერმე ისე უხერხულად ავერიდე,
რომ საკუთარ თავზე ბრალი მომივიდა. თენგიზმა მშვე-
ნივარად ისარგებლა ჩვენი სისუსტით და ორი ბურთიც
თავისუფლად გაგვიტანა.

ბაბაქალბა ზეგლვა რმაბრძი



- ილია ჭავჭავაძე



კავშირები

„ფიზიკელი დარაჯი სამშობლოსი“ — თამაშად შეიძლება ვუწოდოთ ასე ილია ჭავჭავაძეს. ამის თქმის უფლებას თვით მწერალი იძლევა 1861 წელს ყვეარელში დაწერილ უსათაურო ლექსში:

„მას აქეთ, რაჟი
შენღამე ვიან მე ხეყარულო,
მოი, მამულო,
გამაერთა მე ძილი და შვება
შენს ძარღვის ცემას
მე უფრო ვუგადებ ხულგანახულო,
ღამე თენდება
ვგრეთ ჩემი და ღღე დამდებია“.



ი. ჭავჭავაძის რწმენით, მწერალი ქვეყნის, ერის ცხოვრების შუაგულში უნდა იდგეს, უნდა ფიქრობდეს და ზრუნავდეს მოქმდის ბედზე, სამშობლოს აწმოსა და მომავალზე. ლექსებში — „გუთნის დედა“, „ქართვის დედა“, „ელეგია“, „მუშა“, პოემებში, მოთხრობებში — „მეზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი“! „გლახის ნაამბობი“, „სსარჩობლაზე“, „ოთარაანთ ქვრივი“ — სწორედ ეს ფიქრი და ზრუნვა გამოხატულია.

თავის პუბლიცისტურ წერილებში ი. ჭავჭავაძე განიხილავს ყველა იმ საკითხს, რომლებსაც ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვთ, ამუშავებს პეტუალურ თემებს, განმარტავს ამბებსა და მოვლენებს, რომლებიც გვს აძლევს ხალხის ცხოვრებას. ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები ემსახურებიან ერის ინტერესებს, მის წარსულს, ისტორიას, რომელიც, ი. ჭავჭავაძის აზრით, უნდა ჩადგეს ერის სამსახურში, რადგან წარსულის ცოდნა აუცილებელია მომავალი ცხოვრების წესების შესაფუძვებლად. ი. ჭავჭავაძის აზრით, ისტორია მარევებელია როგორც დღეებით, ისე უპროფიტი ამბებისა და მოვლენებისა და ვინც უისტორიოა, ვინც წარსული არა აქვს ვასათვალისწინებლად და სახელმძღვანელოდ, იგი მომავალსაც ვერ შექმნის.

ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთი პირველი სერიოზული პუბლიცისტური წერილი იყო 1863 წელს მის მიერ გამოცემული ჟურნალის — „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი დაბეჭდილი სტატია ამ ჟურნალის ხასიათზე, მიმართულებაზე, ჟურნალის როლზე საზოგადოებისათვის ცოდნისა და განათლების მიცემაში. ი. ჭავჭავაძემ ამ წერილში განაცხადა, „ხალხის ცხოვრება, მისი გამჭობინება ჩვენი პირველი და უქანასკნელი სურვილია“. ახალგაზრდა რედაქტორმა იცოდა, რომ ცხოვრებას თავის წესი და კანონი აქვს და საქორთა ამ წეს-კანონთა გაგება, ამოხსნა, განმარტება და შემდეგ ნააზრევის მიწოდება მკითხველისათვის. ჟურნალის საფუძველი, ანუ „უმათავრისი საგანი“, როგორც ი. ჭავჭავაძე წერს, „აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითა-

რებითა...“ პუბლიცისტური სიტყვა კეთილსინდისიერად მაშინ შესარულეს თავის მოვალეობას, როცა თვალდაფაცივებით მიხვედბა აწინდელ ცხოვრებას და ყოველ კეთილ აზრსა და საყვთლო მოძრაობას გზას მისცემს ერის შეგნებისა და ვანების გასავითარებლად. ი. ჭავჭავაძე ცოცხალი მაგალითებითა და შევონებებით ესაუბრებოდა მკითხველს ცხოვრების რაობაზე. „ცხოვრება, — წერდა იგი, — როგორც ყოველი არსება იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჰქნება იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს... არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანოს ნაყოფისავე თესლზედ ამოყვანოს სხვა ახალი, ნეღლი ცხოვრება...“

ამ წერილში ი. ჭავჭავაძემ ყურადღება გაამახვილა მეცნიერებისა და ხელოვნების როლსა და აღვლილ ხალხის ცხოვრებაში. მათი დაკვირვებისა და შესწავლის საგანი უნდა იყოს სინამდვილე, ოღონდ ცხოვრების შესასწავლად მეცნიერება თავისი ხერხები და საშუალებები აქვს გამოყენებულ, ხელოვნებას კი — თავისი, „ისინი სხვადასხვა გზით იყის რებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა“. ორივეს კი, მეცნიერებასაც და ხელოვნებასაც, — ამბობდა ი. ჭავჭავაძე, — „ჩვენ მოვსიხოვთ არსებობისა პურსა, ცხოვრებაში გამოცხვარსა და მშვიეტათვის მოსახმარსა და გამოსადევსა“. ეს იყო იმ დროისათვის ახალი და სინამდვილეზე დაყრდნობილი აზრი, ეს იყო ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტის ძირითადი მიზანი, გამოთქმული 25 წლის ახალგაზრდა რედაქტორის მიერ.

ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი ი. ჭავჭავაძის ეპოქისა იყო ქართველი ერის გამოტანება, ყველა კუთხის მცხოვრებთა ერთი სურვილით შევერა-შეკავშირება, ყველას ამოქმედება საქართველოს კეთილდღობისათვის, ზრუნვა საერთო საქმისათვის, დაფან-



150

ტულ-დაქუცმაცებელ ძალთა შემტკიცებისათვის. ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხს ერი მაშინ დაერქმეოდა, როცა საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრები უპირატესობას მისცემდა საერთო ქართველობის და რა თავისი პროინციის, თავისი კუთხის ციფრ ინტეგრირებს. თავისი პუბლიცისტურ წერილში „ზოგიერთ რამ“ ი. ჭავჭავაძე გულისტყვილით წერდა: „განთვითუდლით, ცალ-ცალკე დავიშა-ლენით, ასო-ასოდ დავიჭერთ და მავ განთვითუდლობამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველსდევრში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითუღალ წყებას მოუვლდა, ერთად ძნელად გადასამტკიცებს.“ ეროვნული სიმტკიცე, ერთი მიზნისა და აზრის ირველი ყველას — ქართულის, კახელის, იმერლის, გურულის, მეგრელის, ჭავჭაველის, რაჭველის, სვანის შვეკრა იყო უდიდესი სტრუქტურა ი. ჭავჭავაძის — მოქალაქისა, მწერლისა და პუბლიცისტისა. ამ აზრის ირველი დარბაზს მაშინ ყველა მოწინავე ქართველი მწერალი, ი. ჭავჭავაძეს მხარში ამოუდგნენ აკაცი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი...

„პუბლიცისტურ წერილში „ვიცი-ნით თუ ვიტყვით?!“ ილიამ ასეთი მაგალითი დაასახლა: ერთ-ერთ სასწავლებელში, რომელიც სახალხო სკოლების მასწავლებლებს ამზადებდა, უფროსი მოუსტრეგებია ქართული ენისათვის საათების შემცირება და იმ საბაბით, რომ ქართველი მოსწავლეთი უმცირესობა არის, ორმოცდღეობა მოწოდებდა მისწავლენში, მისი სიტყვი, ქართველი ცამეტია, იმერლები — თორმეტი, ინგილოები — 2, გურული — 2, ფშავენი — ორი, რუსები — 6, სომხები — 6, პოლონელი — 2 და ა. შ. „სხვა ეროვნებისანი“ უფრო მეტი აღმოჩენილა სასწავლებელში, ვიდრე „ქართველი“, და უფროსსაც ადვილად გადაუწყვეტია საკითხი ქართული ენის სწავლებისა მასწავლებელთა მოსამზადებელ სასწავლებელში: რადგან

„ქართველები“ ცოტანი არიან, უმრავლესობა კი — „იმერლები“, „გურულები“, „ინგილოები“, „რუსები“, „სომხები“ და სხვანი, საკითხიც „უმრავლესობის“ სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო.

თავისი პუბლიცისტურ წერილით ი. ჭავჭავაძე ამხელდა ყოველდ მიხინჯ წესებს, მაშინდელ სწავლა-აზრდის საქმეში რომ იყო დამკვიდრებული, და ამიტომაც კითხულობდა — ვიცინოთ თუ ვიტყვითო განათლების იმ სისტემის ხელშეწყობის მიზანმიმართული სიტუაციით (უფრო კი ეშმაკობით), ხელოვნურად ჩქმალავდა ნამდვილ ფაქტებს და ქართული ენის სკოლიდან გაძევებას აპირებდა.

მკვეთრი და სრულიად მართებული იყო ი. ჭავჭავაძის მიერ 1883 წლის რუსეთში გამოქვეყნებული პუბლიცისტური სტატია „კატკოვის პასუხები“, რომელსაც ეპიგრაფად ავტორმა რუსთაველის ერთი ტაბეტი წარმოდგინა: „მოუყვარე მტერი ყოველსა მტრისაგან უფრო მტერია“. საბაბი ამ სტატიას დაწერისა იყო 1882 წლის იანვარში ქართულ ენაში დადგმული ისტორიული დრამა „სამშობლო“, ფრანგულიდან გადმოკეთებული დავით ერისთავის მიერ. პიესა პატრიოტული ნაწარმოებია, მასში მოქმედებენ სამშობლოსათვის თავდადებული გმირები, ნაწინებია საიდუმლო შეკრება სპარსეთთან დაპყრობილ თბილისში. ფინალში სცენაზე გამოაქვთ ქართული დროშა, რომლის წინაშეც მუხლს იყრან და ფიცს სდებენ ერთგულებით მამულოშვილები. პიესა მაყურებელს ღიად მოეწონა და აღაფრთოვანა.

ამ პიესის ქართულ სცენაზე დადგმის შესახებ წერილი დაიბეჭდა „ქართველი უწყებებში“, რომელშიც „ქართველთა ბრძოლა ქართველი გათავისუფლებისათვის გამოცხადებული იყო მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლად. გაზეთის კორესპონდენტი, ვინმე რიოვი, ქართველებს ურჩევდა — რადგან პიესა „სამშობ-

ლოს“ დადგმაში დიდი ხარჯი მოგივლდა, თქვენი ეროვნული დროშები ცირკის ქამბაზებს მიჰყიდეთ და ხარჯი აინაზღაურეთო. ახლავ უნდა ითქვას, რომ გაზეთის რედაქტორი მიხეილ კატკოვი იყო რუსული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების მოწინავე მიმართულების წარმომადგენლები — ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლინოვის, ა. გერცენის შეხედულებათა მტერი. ვ. ი. ლენინის თქმით, მ. კატკოვი ცოდვირული შავრახმელი და შოკინისტი იყო. სწორედ ასეთმა რედაქტორმა გაილაშქრა „სამშობლოს“ დადგმისა და ქართულთა ეროვნული მთლიანობის სიმბოლოს — ეროვნული დროშის წინააღმდეგ.

ი. ჭავჭავაძემ გაზეთ „დროშაში“ დაბეჭდილი წერილით მოწვევა პასუხი გასცა მ. კატკოვს. ეს იყო გაზეთული, ვაჟაკიერი, პირდაპირი, უშინაური, და რაინდული გამოსვლა ძლიერი მოხელისა და მისი გაზეთის წინააღმდეგ. ი. ჭავჭავაძემ მ. კატკოვის საქციელს უწოდა „მასხარაობა“, „გაცეკოთობობა“, „მახეზარობა“. ქართველი ერის „სახალხლო დამხრებლად“ ჩითვალა ი. ჭავჭავაძემ კატკოვის გამოლაშქრება. ი. ჭავჭავაძემ კატკოვის გაზეთი დაახსიანათა, როგორც გონების გახრწნილების ავიოვლინება, ბოროტებისა და ანგარების ნიმუში; მან თქვა, რომ კატკოვმა თავის გაზეთში თავი მოუყარა დამშუულ მაწანწავეს და აწერინებს ყოველგვარ სისაძაღვს. ეს პირები არიან რედაქტორის დამქ-

შენი, რომელიც მიზნად აღესა-
ხავთ რუსეთის იმპერიაში შემავალი
პატარა ერების შევიწროება, გათახ-
სირება და მათი გადაშენება. „თუთი
ბარბაროსიკ კი არ იყარებოდა ეგ-
რეთ უპატურობას მთლის ერი-
სას!“ — დასკვნა ი. ჭავჭავაძემ.

ძნელია განისაზღვროს — სად და
როდის არის უფრო ძლიერი ი. ჭავ-
ჭავაძე: მამის, როცა იგი ხატებს
ლუარსაბ თათქარიძეს თუ ზაქარს
გულდორი ბატონს, თუ პუბლიცის-
ტურ წერილებში, რომლებშიც ამ-
ხილებს თავისი ქვეყნისა და ერის
მტრებს, ხელისუფლების ძალადონ-
ბას. ი. ჭავჭავაძის კალამი ყველგან
ერთი ძალისაა, განსაკუთრებით —
ნაკლოვანებათა მხილებისას, მიუხე-
დავად იმისა, ვის ახასიათებდა ეს
ნაკლი: პიროვნებას, საზოგადოებას
თუ სახელმწიფოს. ი. ჭავჭავაძე გუ-
ლისტიცილით წერდა ქართული
მოსახლეობის სხვა ქვეყნებში გადა-
სახლებაზე მიწის სიციფრის გამო
კმუნს, როცა მთავრობა სხვადასხვა
ქვეყნიდან საქართველოში ასახლუ-
და უცხო ტომებს: ი. ჭავჭავაძე წერ-
და ქართველ სტუდენტობაზე, რუ-
სეთის ქალაქებში ნახევარდ შვიტრი-
ნი და იქაური ზამთრისათვის შეუ-
ფერებელი ტანსაცმლით რომ ცხოვ-
რობდნენ და სწავლას ეწაფებოდ-
ნენ; წერდა სამეურნეო სკოლათა
სარგებლიანობაზე და ხელს უწყობ-
და ყველა სასიკეთო საქმეს არა
მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით,
უშუალო დახმარებით: წერდა აღ-
მაშენებელზე, როგორც დიდ სახელ-
მწიფო მოღვაწეზე, საქართველოს
სიმტკიცის შემქმნელზე; წერდა სა-
ისტორიო მუზეუმის დაარსების აუ-
ცილებლობაზე, ერის წარსულის
შესწავლის მნიშვნელობაზე, მაღალ
შეფასებას აძლევდა ისტორიკოს დი-
მიტრი ბაქრაძის ღვაწლს, თავისი
მასწავლებლის — დავით ჩუბინა-
შვილის ნაშრომებს. ი. ჭავჭავაძის
აზრით, ერის წარსული დიდმნიშ-
ვნელოვანი ფაქტორია თანამედრო-
ვეობისა და მომავლის შენებაში.

„ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, —
წერდა იგი, — რომ ერის პირქვე
დამხობა, გათახსირება, გაწყალუბა
იქნამ დაიწყება, როცა იგი თავის
ისტორიას დაივიწყებს. წარსული
მკვიდრი საძირკველია აწმყოსი.“

შესანიშნავია ი. ჭავჭავაძის დიდი
პუბლიცისტური წერილი „აი, ის-
ტორია“, რომელშიც იგი უარყოფს
ი. ჯაბადარის იმ აზრს, რომ თითქოს
ერი დაბერდა, რომ მისი ენერჯია
დაიშორდა და ქართველ ერს არ
შესწევს ძალ-ღონე, გაუსწორდეს
მეოწმევე კაცობრიობას, იარსების
შემოქმედებით ცხოვრებით. მთა-
ვარი ამ წერილში არის დასაბუთე-
ბა იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“
ქართული ეროვნული სულისა და
შემოქმედებითი ძალის გამომჟღავ-
ნებაა, რომ რუსთაველი მიმამძველი
კი არ არის, არამედ ორიგინალური
და ბრძენი პოეტი, ფილოსოფოსი,
მოაზროვნე და განსწავლული შვი-
ლი თავისი ეპოქისა.

ეროვნული თვითყოფადობისა და
მის თავისებურებათა დამცველი,
ხალხთა თანასწორუფლებიანობის
მოქალაქე, ისტორიის ძეგლთა გულ-
შემმატკივარი, სხვისი დამსახურები-
სა და სიციფის მიმოხიხების გამ-
ციხველი — ასეთი ჩანს ი. ჭავჭავა-
ძე პუბლიცისტურ წერილებში „ქვა-
თა ლადლი“, „მეცხარამეტე საუკუ-
ნი“, „ასის წლის წინათ“, „რა გიბ-
რათ, რით გვაგაბროთ?“ და სხვა
მრავალი. ბრწყინვალე აზრი აქვს
ი. ჭავჭავაძეს გამოთქმული ქართვე-
ლთა ისტორიული მუხობლების,
ეპიქოდ, სომხების შესახებ. იგი წე-
რდა: „ჩვენ კარგად ვიცით, რომ წი-
ნანდელ საქართველოს უძღურებდა
დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, რო-
ცა პირქვე დაემხო სომხეთი, ეგ
ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთ-
ითი. ჩვენ ჩრდილოეთი ვინახავ-
დით სომხეთს და სომხები ჩვენ გვი-
ნახავდნენ სამხრეთით... მანამ სომ-
ხეთი იყო, საქართველოს რომ თათ-
რობა მიესევოდა, ჭერი სომხეთი უნ-
და გადმოვლახა... დავცა სომხეთი
და სამხრეთის კარი ღია დარჩა სა-

ქართველოში შემოსასვლელად“. მე-
ზობელთათვის სიციფის მზღვრება
ნათქვამია: „ვანა ჩვენთვის“ სწავტრე-
ლია ესეთი დავსაქსულობა სომხე-
ბისა! ღმერთმა მისცით ღონე და
უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ,
სიღინავე აყრილან და აქა-იქ გა-
ფანტულან“ მუსულმანურ-ოსლამურ
სამყაროსთან მეზობლობისას. ი. ჭავ-
ჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებ-
და სომხეთის გაძლიერებას საკუთარ
ტერიტორიაზე.

ერთი შესანიშნავი ფურცელი ი.
ჭავჭავაძის პუბლიცისტისთვის არის
მისი „შინაური მიმოხილვანი“, რო-
მელსაც ბეჭდვდა 1879 წლიდან
„ივერსიში“. „შინაური მიმოხილვა-
ნი“ ძვირფასი მასალაა საქართვე-
ლოს ისტორიისათვისაც. მასში მრავ-
ალი პოლიტიკური, სოციალური,
ეკონომიკური პრობლემა წამოყე-
ნებული. რაზე აღარაა მათში საუბარ-
ი: დაწყებული სკოლა, ქართული
თეატრი, წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელი საზოგადოება, „მამათა და
შვილთა“ უტიიერთობანი, აზროვნე-
ბის პროგრესულობა თუ რეტროგ-
რადობა, ევროპისა და ოსეთის ხა-
ლების ეროვნული ცხოვრება და ა.
შ. ი. ჭავჭავაძე-პუბლიცისტი ჭერ
წარმოაჩინა საკითხის ბირთვის, შემ-
დეგ მსჯელობს, განმარტავს და აფა-
სებს. ისიც აღსანიშნავია, რომ მის
მიერ დაყენებული პრობლემები, გე-
ვდა ცხოვრების განახლებისა, ხალ-
ხის მონაწილეობა საკითხების გადა-
წყვეტაში, საკითხთა საქარობა —
თითქოს ჩვენი დღევანდელი ცხოვ-
რების მოთხოვნილებათა ისტორიუ-
ლი წინამძღვარია.

რა ბედნიერებაა, შენი ქვეყნისა
და შენი მშობლიური კულტურის
წარსულში გვეუბნობოდეს ისეთი
მრჩეველი, ისეთი გულმტკიცენული
მითითებელი, როგორცაა ჩვენი
უძველავი ილია ჭავჭავაძე, მისი ნა-
ფიქრალ-ნააზრევი და მისი მუდამ
ცოცხალი შემოქმედება.

სოლომონ ხუციშვილი,
პროფესორი

**ლილკა
იპარღაეა**

*კახეთში
თბილისი*

ალაზნის ჭრელ ველს – ორად დაკვიცილს, შენი ყოველი მტკაველი, ციდა, ვიცე, აქ ახლა წარღვნის ტოლია, რომელსაც ხალხი ქმნიდა და ციდან ძირს ჩამოჰქონდა ხსნის ისტორიად! ესეც ბეღია, რომ უნდა გვევლო ერთად და კვლავაც ტრფობა გვედებო: შენ-ხოხბადქმნილო ალაზნის ველო, შეილებს სჭირდები მწედ და ლემენად!

*ძველი
წიგნი*

მახსოვს რუხის წყლის ტოტზე წისქვილი, ისლის სახურავს ფარავდა ობი. ბავშვობის სევდას გრძნობით მიხლილი, ისევე აღსდექ და კვლავ მომავონდი! კვლავ სარკველას გააქვს რაკუნი, ფრთებს მატოლებენ ყრმობის წუთები, იმ წლების მკერდზე მკერდით გაკრული, ჩავლილ დღეთა ჯგროს ვესათუთები. მომგონებიხარო, მუხის ფესვებო,

*ყაბი
წიგნისა
ზღვანე*

კვიპაროსის ხე შეიკრა რკალად, წამით წაშალა ვარსკვლავთა ხომლი და ატოტებულ ბეგრათა ლავას გადააფრქვია ცვარ-ნამის ბროლი. აართოლდა ზოლი – ზღვა გაიშალა, როგორც ხალიჩა, ნაქსოვი ლურჯად,

ქსოვდით და ქსოვდით მდინარის დარანს, იმ დღესასწაულს ფიქრით ვესწრები, გული კი ახლა სიმშვიდეს მპარავს. ნუთუ გაქრა და სსოვნად განილტვო დღენი, რომლებიც ამცდარან რაკურსს, თუმცა იმ ყრმობის სამავალითოდ, ყურს ვაპყრობ ჩემთვის წისქვილის რაკუნს!

ავარდა ტალღა, ტალღამ იშარა და ნავის კიჩო მკერდს ჩაიბღუჯა. მერე მიწყნარდა ლურჯი ჯვეჯილი და პორიზონტად გაწვა სინაზე; ღამე კი – ცისკრით მკერდგაგლეჯილი – ფიფქივით დადნა ზღვის ვრცელ სინაზე!

თ ბ ბ ა რ დ ა უ მ ე ნ ი ლ ი

ღსვითვერეჯა


გარეკახეთს თუ ეწვევი, გარეჯს გვერდს ნუ აუვლი, – ყოველ ზაფხულს იმართება დიდი დღესასწაული. დრო? – მეექვსე საუკუნე. ეს რა განძი გვექონია! პალატები, დარბაზები, ელერენ ქვის სიმფონიად.

სამონასტრო კომპლექსია ოდითგანვე ქებული, მტრისგან ასჯერ დანგრეული, ასჯერ განქიქებული. შველა უნდა თეთრ სენაკებს, ბერთუბანს და უდაბნოს, ფრესკებს დიდი წინაპრების, ფერწერულს და უნაკლოს.

გორის ციხე, უფლისციხე, ყინწვისი და სამწევრისი... ურბნისს, ატენს, წრომს თუ სიონს – მოვლა უნდა საკადრისი, ყველა ჩვენი საუნჯეა, სიყვარული გემარბებს მისი.



აკაო და ზაჰრო, ლუარსაბი და დარეჯანი (ილია ზავთაძის „აკაო უაჩალი“ და „კახინა-აღაშიანი“) – სცენა. ზა არიან თბილისის მუზეუმის საოლნის მონათლავაი.



წინა შეთქმულით კონკრეტული „მეზობლები ჩვენს გუნდში“



მკვანძე

აქვს ვარ, თავზე მადვირარ, ღრუბ მითვებს ხაწოლთან, ოფლის მწმუნდ, ნემსებს მიკვლავს, ფარდებს სივთის ხაზიანთან. შენი სურვილი ეს არის — მომარჩინე და მიწამო, კვილი ვაგივ გამზარდო, აღამინე ვიწმინ.

მანა მთაწოდინი, ქობის ზღა სურვილი სკოლა, IV კლასი.



მანა მთაწოდინი

მანა მთაწოდინი, წაბილი, I-და სურვილი სკოლა, V კლასი.



მანა მთაწოდინი

18/97
69/1

სიყვით ზღვის, კანკალებზე წყლის წელით გამოქუდილი ჩვილი თავი — ფეხისველი დარჩენი წრეწრეები.

ზღარის ქტეზმარ, მუკაფეჩა: ზამთარს ვღვარ ნადურებზე, ჩემს წრეწრეებს ფოთლებსგან შეუკავრ ფარეწები.

ლენა კობია

გაუკვრდა ღიას ძლიერ, ზრეე ჰეობს მამას — წყლის რაბ სვამს და თავს ზვავს სწვებს, ველს სტვავა მამაღმე? მამაღა მამაღა, წყობები, I-და სურვილი სკოლა, VII კლასი.

მედი

სისხამ დილით წამოვდები, შენი ველ-მიდგარას მივირბენ. შენი ამოსვლას დავეჭვრები, წყაროს ზურღულს მოვიმენ, მიაღვი სურზე შეშოვდებო, დავიძებნე მამაღა, — დავ ვეველამ გაივიროს, და ღამაში რამა ხარ, დღის ცვარით დამიშვლო, სიყვარულით გამომარ, გემო დავა-მამარადლო, გემო ტემბო მამა-მარ!

მედი მამაღა, კაიფის, ჩემს სურვილი სკოლა, IX კლასი.



მანა მთაწოდინი
ქობის ზღა სურვილი სკოლა, IV კლასი.

მანა მთაწოდინი
ქობის ზღა სურვილი სკოლა, IV კლასი.

მანა მთაწოდინი
ქობის ზღა სურვილი სკოლა, IV კლასი.

მე და მანა მთაწოდინი

მე და მანა მთაწოდინი სულში ვაჩვენებელი ბავშვური სიამოლი და კარის ფრიალი. გვერდს ატარებდნენ ღვთაებულა ოპო, ბუტკვამს, ფოთლებს მივუვს შრობალი. ფრინველია ვაღობს მამა და მარს მოველო, ვახვებო მანა მთაწოდინის მუხამს, უჩირო ტბის ფერი უღვებს მიწის ავადს. ავაფიქრე წებები, ავაფიქრე ატეზები, ვვაფიქრა სურვილი აბრეებს მიდამოს, შეხვდები ამ ზღვას, შეხვდები ამ ვარებს, — კიემა ვეფიქრო რა უნდა იქნას! ველი სიხარულის სხავებს გამოირო, აპროლმა ვეფიქრა მელაგები მომეცია. დავა-მამარადლო ტემბარი გავიქვლა მე და ვახვებელი შენი რამაში მოვეჭვირებ!



მანა მთაწოდინი, წაბილი, I-და სურვილი სკოლა.

მანა მთაწოდინი, მანა მთაწოდინი, მანა მთაწოდინი, I-და სურვილი სკოლა, VI კლასი.



მანა მთაწოდინი, მანა მთაწოდინი, მანა მთაწოდინი, I-და სურვილი სკოლა, VI კლასი.

მანა მთაწოდინი
ქობის ზღა სურვილი სკოლა, VI კლასი.

მანა მთაწოდინი
ქობის ზღა სურვილი სკოლა, VI კლასი.

ნახევრის წიმი

წესი ქალაქი

საბავარი თემი რედაქცია

გოთხრომა

გვალვამ თითქმის დაპრო წყნარად მობუტბუტ ნაკადული და რაც გადარჩა, ისიც თავიანთ წივებსა და ბალ-ბოსტნებში მიუშვეს სიხისაგან შეწუხებულმა ადამიანებმა. ძალიან გაუჭირდით ნაკადულის პირას ამოსულ ყვავილებს, თავები უღონოდ ჩაქინდრეს, ერთიანად ფერმეცვლილებმა. ისეთნაირად მოიბუტნენ, თითქოსდა ხშირ ბალახბუღახში ექედნენ თავსავარს. მაგრამ სულ მთლად გამოხუნებულ, გახეშვებულ ბალახს ვერც საუთნოთ თავისთვის ეშველა, ვეღარც ყვავილებს რგებდა რაიმეს. სიხისაგან ისე იყო გამოშროალი, რომ წივის ყოველ დაბერვანზე ნემსიყლაპის ფრთებივით გაჰქონდა შრიალი.

მზეს ძალიან ეცოდებოდა მინდვრის ყვავილები. ყოველ დღით, ამოხდებოდა თუ არა ცისკიდურს იქიდან, დანაშაუვსავით უღიზიოდა ღამის სიგრილით ოდნე მოციხუნებულებს. „აბა, რა გიყთ, ჩემო კარგებო? — ეუბნებოდა სიბრალულით — განა მე კი მიხარია, ჩემი სხივებით ასე რომ გაწუხებო? მაგრამ რა ევნა, სხვაგვარად მოქცევა არ შემიძლია. სხივების გამოგზავნა ჩემი მოვალეობაა, ამას ვერ გაუქვეყნი ბრალად ნუ ჩამითვლი. რომ არ გამოგზავნოთ, უარესი იქნება თქვენთვის, ცუდ დღეში ჩაყვავდებით. ვიცო, ძნელია, მაგრამ ძალიან მოიკრიბეთ და კიდევ ცოტა ხანს გაუძლიეთ როგორმე. თქვენსკენაც გამოთუჯავს ის აშარი ქარი ღრუბლებს, თქვენთანაც მოვა წვიმა“.

„განა ჩვენ კი არ გვესმის, განა

ჩვენ არ ვიცით, რომ დანაშაუვი არ ხარ, მზეო,“ — ჩურჩულდნენ ყვავილები და ცდილობდნენ, სასუსხოდ თვითონაც გაეღობათ მზისსათვის, მაგრამ რა საცოდავი იყო მათი ღიმილი! სიხისაგან დაბუტნილი მტკრიანი ფურცლები ერთმანეთს ეკრთოდნენ და ძლივსა ახერხებდნენ ვაშლას.

მთვარეს მზეზე ნაკლებად როდი ეცოდებოდა ყვავილები. ნუგეშსა და თანაგრძნობას არც ის აკლებდა. და, რაც მთავარია, ყოველამით ნამს უგზავნიდა, რომ სულ მთლიანად არ დამკენარიყვნენ და წვიმამდე მაინც ცოცხლებს მიეტანათ. „ჯერ ამით მიიბრუნეთ სული, ჩემო ლამაზებო, — სევდიანი ღიმილით ეუბნებოდა მთვარე, — ჯერ ეს იკმარეთ და გულს ნუ გაიტებით, სულ მალე მოვა თქვენთანაც წვიმა, უეჭველად მოვა“.

მდღიერი ყვავილები ხარბად ისრუტავდნენ მაიცოცხლებელ ნამს. ცოტა ხნით წელში იშლებოდნენ და თვალში იხედებოდნენ, მერე კი ისევ ამოვიდოდა ხოლმე მზე, ისევ დატრიალდებოდა ხვადი და ისევ ძველებურად ჩამოჭყნებოდნენ.

გარდა დღის ნამისა, მთვარე სხვა რამითაც ცდილობდა ეშველა ყვავილებისათვის. ეს ღამის გრძნეული მნათობი, ეს ჭაღო-თილისმთა მცოდნე და უთვალავ საგანძურთა მფლობელი, ყოველ ღამით ცვარდა ერთად ნატკრისთვალსა უგზავნიდა ყვავილებს. ნატკრისთვლი შესახედავად ძალიან ჰგავდა ნამის წვეთს, ზუსტად მისი ტოლი იყო და მასა-

ვით გამკვირვალე. გარეგნულად ვერაინ ვაარჩევდა მზეზე ამბროწყვილებული ნამის წვეთისაგან. ხელს თუ ახლებდით და ამ დროს არ დამხსავრეოდა, მხოლოდ ამით მიხედვობდით, რომ ნატკრისთვლი იყო და არა უბრალო ნამის წვეთი.

როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე, ის ნატკრისთვლიც მხოლოდ ერთ სურვილს უსრულებდა ადამიანს. სანამ დღის ნამი ბრწყინავდა, მანამ ნატკრისთვლიც რჩებოდა ყვავილებთან. ნამის ვაშრობის შემდეგ კი ისიც ქრებოდა, თითქმის წამით ერთად აორთქლდო. მთვარეს კი იმედ ჰქონდა, ვინმე იპოვნოდა მის გამოგზავნილ ნატკრისთვალს და წვიმას ინატრებდა. აქი ადამიანებსაც ენატრებოდათ წვიმა.

ყვავილებსაც იმედი მიეცათ, ვინმე აუცილებლად იპოვნის ნატკრისთვალს და წვიმას ინატრებო. რა უნდა ყოფილიყო ამაზე უბრალო, ბოლოსდაბოლოს, ვინმე როგორ ვერ შეამჩნევდა ცისარტყელს ფერხით მიციციმე ნატკრისთვალს! პირველსავე დღისა, როგორც კი ნატკრისთვლი ნამის წვეთთან გამოვსოდა, დამშრალ ნაკადულით დიდი ჭრელი ბუთით მოვარდა. თითქოს საგანგებოდ, იგი სწორედ იმ ყვავილებზე შეჩერდა, რომლის ფურცლებზეც მთვარის ძვირფასი ნობათი ციციმებდა. ყვავილებმა თვალები ფართად დაჰყიტეს. იცოდნენ, ბურთის უთუოდ ვინმე მოჰყვებოდა. მართლაც, სულ მალე ოფლში გახვითქულმა ბიჭმა მიიპოვინა. ცოტა მოშორებით ბიჭები თურმე ფეხბურთს თამაშობდნენ და რამეივალა მოთამაშემ, როგორც იტყვიან, უმისამართოდ დაატყა.

— აიღე, ბიჭუნა, ნატკრისთვლი, და წვიმა ინატრე, — ერთხმად აჩურჩულდნენ ყვავილები. — ისევ იდნის ნაკადული, ჩვენც სულს მოვიტყვამთ. შენც თამაშის შემდეგ სასიამოვნოდ ვაგრილებდი ამ ნაკადულის პირას, მის ანგაზა წყალს დალევ...

ბიჭმა ვერ გაიგონა ყვავილების ევდრება, სად ეცალა მათთვის ყურის სადგებად — სათამაშოდ ეჩეპრებოდა. სასწრაფოდ დაავლო ნამი-

სავან დასველებულ ბურთს ხელი და ტოლებთან გაიქცა. ყვავილებმა ხმა გაკმინდეს, წინანდებურად გაირინდნენ იმედით აღესილი.

ცოტა ხანში მანქანამ გადმოხვია გზიდან და შორიანხლოს შეჩერდა. მანქანიდან მძღოლი გადმოვიდა, ხელში თერმოსი ეჭირა. იგი სულ ხელს მივიდა დამშრალ ნაყაფულთან და გაოცებით შეჩერდა.

— აი, საოცრება, სად გაქრა ნაყაფული? — თქვა თავისთვის. — ამას წინათ აქ თერმოსი ავავსე, ისეთი გემრიელი, ცივი წყალი იყო...

— გვალვამ დააშრო ნაყაფული, რაც დარჩა, აღმოაჩნებმა თავიანთ ბაღ-ბოსტნებში მიუშვეს, ჩვენამდე ვეღარც აღწევს, — ისევ აჩურჩულდნენ ყვავილები. — აიღე ნატერის-თვალი და წვიმა ინატრე. მაშინ აქამდეც მოაღწევს ნაყაფული. იგი ყველას გვეყოფა, შენც აავსებ მაგ თერმოსს.

მაგრამ ყვავილების ხეყვნა ვერც მძღოლმა გაიგონა, უხშიდ გატრიალდა ცარიელი თერმოსით ხელში, მანქანა დაქოჭა და წავიდა.

სიჩუმე ერთხანს არაფერს დაურღვევია. მერე ისევ მოესმით ყვავილებს ხმაური. მოსიერნეთა ჩვეუნი ნაყაფულისკენ მოიჩქაროდა. ხელში სანთავით სავსე მოზრდილი ჩანთებში ეჭირათ. ისინიც გაოცებულები დააჩერდნენ დამშრალ ნაყაფულს.

— კარგად მახსოვს, აქ ნაყაფული იყო, — თქვა ერთმა. — ამას წინათ აქ პიენკი მოვაწყვეთ, ნეტავი, სად გაქრა?

— მერე რა, თუ ნაყაფული აღარაა, — გამოეპასუხა მეორე, რომელსაც ხელში ბოთლები ჩაებღუჯა. — დასალევად მაინც არაფრად ვარცა. უმადისოდაც მშვენიერი აღვლია. სჯობს, აქ დავსბდეთ.

— კი მაგრამ, წყალი მაინც საჭიროა, — ამხატრდნენ დანარჩენები. —

ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი უთქვამს. აიღეს თავ-თავიანთი ჩანთები და გზა გააგრძელეს სხვა ნაყაფულის საძებნელად. ამოდ არწმუნებდნენ ყვავილები, ახლომანლო ნაყაფულს ვეღარსად იპოვიან, ისევ ის სჯობდა, ნატერისთვალი ავეღოთ

და წვიმა გენატრათო, მაგრამ მათ ხმა არც ამ ჩვეულებს გაუგონია. ცვარის ვაგრობას აღარაფერს ეტყობოდა, როცა ვიღაცა მარტყულს ეჭყობოდა, იგი მოვიდა ნაყაფულთან და მის ნაპირთან ჩამოქდა.

— აფსუს, რა ანკარა ნაყაფული იყო, როგორ დამშრალა. — თქვა დანანებით. — გვალვის ბრალია, სულ გადახრუჟა მთელი ქვეყანა. აფერ, ყვავილებსაც როგორ უჭირთ...

კაცმა სიბრაღულით გადახედა მოწყყენილ ყვავილებს, მის წინაშე აქარა თანაგრძნობა ისმოდდა. ყვავილებს იმედი მიეცათ, იქნებ ამაჩ მაინც გაიგონოს ჩვენი ხმაო. წამოეცლებოდნენ, ისეთი ყრიაშული ატყუეს — ჩქარა, სანამ არ გამჭრალა ნატერისთვალი, აიღე და წვიმა ინატრეო, რომ ალბათ კიდევ უნდა გავგონა იმ კაცს. მაგრამ ვერ გაიგონა. ჯიბიდან პატარა ტრანზისტორული მაგნიტოფონი ამოიღო, ჩართო და მის გვერდით წამოწვა დასასვენებლად.

ყვავილები გაჩუმდნენ, აზრიც აღარ ჰქონდა ედერებას.

კაცმა დიდხანს ვერ გაძლო დამშრალი ნაყაფულის პირას. აქ ცბელოა, ჩაილაპარაკა, აიღო მაგნიტოფონი და მუსიკის თანხლებით გზას გაუღდა.

ისევ მოიწყინეს ნამშემშრალმა ყვავილებმა, თავები კიდევ უფრო დამლა დახარეს. საოცარია, რატომ ვერავენ ამჩნევს ნატერისთვალს, — შესჩიოდნენ ერთმანეთს. — არადა, რა ლამაზად ციმციმებს მზის სხივებზე! ჩვენი ხმაც რომ არავის ესმის? რა გვეშველება, ასე თუ გაგრძელდა, ვეღარც ერთი გავტანათო...

მეორე დღით, როცა ნამი ისევ აბრჭყვიალდა, ყვავილები ისევ მოცოცხლდნენ და იმედინად აჩურჩულდნენ — დღეს კი აუცილებლად იპოვის ვინმე ნატერისთვალს და წვიმას ინატრებსო.

ის დღეც ისე დაიამდა, ვერავენ შეამჩნია ნატერისთვალი.

შემდეგ დღეებშიაც ასე გაგრძელდა.

ყვავილები მაინც არ იტყობდნენ გულს. მაინც ფართოდ შლიდნენ დიდილიბობით წამით დაცვარულ ფურცლებს და თუ ვინმე ახლომანლო ჩაუვლიდათ, მთელი ხმით ესებ-



წებოდნენ, ნატრისთავალი აიღე და წვიმა ინატრეო.

— ეეჰ, ტუჟილად ირჯებით, — ბუტბუტობდა იქვე, ნაყადლის პირას ამოსული შრავალძარღვა. იგი შედარებით კარგად უძლებდა გვალვას, ფოთლები მუდამ წვენით ჰქონდა საყესი. — არავინ დაუწყებს ნატრისთავალს ძენას ნამის წვეთებს შორის. თანაც, კიდევ რომ იპოვნონ, სულ ერთია, წვიმას მაინც არ ინატრებენ.

— აბა, რას ინატრებენ? — კითხულობდნენ გოციებულს ყვაილები. — ამისთანა გვალვამი წვიმაზე უფრო სანატრელი რა უნდა იყოს?

— არ ვიცი, არ ვიცი... — ბუტბუტობდა შრავალძარღვა. — ადამიანებს ვერაფერს გაუგებ.

ყვაილებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ შრავალძარღვს შრავალძარღვას მათზე უკეთესად მოეხსენებოდა ადამიანების ავიცა და კარგიც. თავისი საოცარი გამძლეობის წყალობით, იგი ადამიანებთან ყველზე ახლოს ხარობდა, ზოგჯერ ისეთ ადგილებშიც, ვერც ერთი სხვა მცენარე რომ ვერ ინატრებდა, ნაცეცხლარზე და ნახავარზე ყველაზე ადრე იგი გაშვებულა ხოლმე თავის ღონიერ, დაძარღულ ფოთლებს.

მაგრამ მის უსიამოვნო ლაპარაკს ყვაილები მალე იციწყებდნენ და იმედით ფრთაშესხმულნი ისევ ეხვეწებოდნენ მათთან შემთხვევით ახლოს მომგვიდრად ადამიანებს: წვიმა ინატრეთ, წვიმაო...

და აი, ერთ დღილით, როცა დილის სამი ჯერ ისევ ბრწყინავდა, დამშრალ ნაკადულთან პატარა გოგონამ მიიბრინა.

ამ გოგონას ყვაილები ძალიან უყვარდა, კანაც სულ მთლად ყვაილებით მოხატული ეცეა, თმებშიც ყვაილებითი ბაფთები დაემაგრებინა და თვითონაც ყვაილის ჰყავდა.

მაგრამ, სხვებივით, ყვაილების ხმა არც მას ესმოდა, ამიტომ მათი ევდრების გავილენაც არ შეძლო. კვრც იმას ამჩნევდა, გვალვა რომ აწუხებდა ყვაილებს. ამის შესაგრძნობად იგი ძალიან პატარა იყო.

სამაგიეროდ, გოგონას ბევრი ზღაპარი ჰქონდა წყაითხული და იცოდა, რომ არსებობდა ნატრისთავალი. ის-

იც იცოდა, რომ იგი მხოლოდ ერთ სურვილს უსრულებდა ადამიანს.

როგორც კი მზის სხივებზე წარფრად მოციმციმე ცვაირი დანახა, გოგონა მიხვდა, მათ შორის ერთ-ერთი ნატრისთავალი რომ იყო. მაშინვე შეუდგა მის ძენას. ხელს ფრთხილად ახლებდა ყვაილებსა და ფოთლებზე დაყრილ ნამის მძივებს. ისინიც იმწამსვე მის პატარა თითებზე იმსხვრეოდნენ.

გოგონას თითები სულ მთლად დაუსველდა, აჟა-იჟ გაეაყარა კიდევ



ფოთლებში ჩამალულ კაჭაჭზე, ძენა კი მაინც არ შეუწყვეტია. იცოდა, ცვარში ნატრისთავალი აუცილებლად იქნებოდა გამოჩენული.

ჰოდა, იპოვა კიდევ, პაწაწინა ფოთლის შუაგულში ჩაფეხებული გამპეირავლ წვეთი შეხებისგან არ დამსხვრეულა. იგი ხელისგულზე ჩაუგორდა გოგონას. ისე ციმციმებდა, ისეთ სხივიან ნაპერწყმებს აბნევდა, თითქოს ეუბნებოდა თავის მპოვნელს: ინატრე, რაც გინდა, და მაშინვე შეგისრულდებაო.

დაფიქრდა გოგონა — განა ცოტა რამ ჰქონდა სანატრელი!

ბევრი, ძალიან ბევრი შოკოლადის კანფეტი ხომ არ ინატრის, ამ ნატრისთავალივით ბრწყინავდა ქაღალდში გახვეული? ანდა ღრუბელივით ფაფუკი, ტკბილი ნაყინი? ახალი სათამაშო? ანდა ლამაზესი ზღაპრების წიგნი?.. უამრავი ფერადი ბუშტი, რომლებიც ჰაერში აფრენენ, კრალი თუთიყუში, ლაპარაკი რომ ეცოდინება და სახელს დაუძახებს ხოლმე?.. ან იქნებ ისეთივე ბუთხუზა ლეკვი ინატროს, მეზობლის მეტინიანა გოგონას რომ ჰყავს და მას

თითიც არ დააკარებინა, ნება არ მისცა, მოფერებოდა... ანდა ბევრი, ძალიან ბევრი ფერადი ფანქარი, რომლებშიც მზისფერი ფანქარიც გუნება, აი მაშინ კი ნამდვირად განათებს მისი დასატული მზე...

მაინც რამდენი რამ იყო სანატრელი... ნატრისთავალს კი მხოლოდ ერთი სურვილის შესრულება შეეძლო.

ფიქრობდა გოგონა. დამშრალი ნაყადლის პირას ჩამოქვანარ ყვაილებს კი ლამის ზე-

ცა დაეკრებინათ, ისეთი ხმით იხვეწებოდნენ: „წვიმა ინატრე, გოგონავ, წვიმაო...“ სულ პატარა ჭიოტა ყვაილები, სხვა დროს სიმორცხვით თავის მძლავრ აწევაც რომ ვერ გაეძებდა, ახლა ყველას აუბრბებდნენ ყვირილით. აბღღვით გამოშრალი, გახუნებული ბალახი, ყურს თუ კარგად დაუგდებდა, ნამდვილად შრიალდება, თუმცა ნიავის ჰაქანებაც არსად იყო. ისიც წვიმას იხვეწებოდა. თვით შრავალძარღვამაც კი, თავისი სკავტკტიური განწყობილების მიუხედავად, ვეღარ მოითმინა და თითქოს სხვათა შორის წაიდუღუნა: „წვიმა ინატრე, გოგონავ, წვიმა“. გვალვისაგან დამსჯარმა მიწამაც ენა ამოიღდა და თავისი ხმა შეუერთა მავედრებულ მცენარეებს: „წვიმა, წვიმა, წვიმა...“

დასცქეროდა გოგონა ხელისგულზე მოციმციმე ნატრისთავალს. რა ცუდია, რომ მხოლოდ ერთი სურვილის შესრულება შეუძლია.

რა ინატროს, რა?..

სანამ გოგონა ამ არჩევანშია, ჩვენ ერთი წუთით უკან დავიხიოთ: რამდენიმე დღის წინათ, სანამ ნა-

კადული თავის ძველ კალაპოტში ჯერ ისევ ჩხუჩუხებდა, გოგონას ლამაზი სათამაშო ტრიალა აჩუქეს. იგი სწორედ ამ ნაკადულის პირად დაუმეგრა მამამ. არაფერი სჯობდა იმის ყურებას, ნაკადულის კამკამ ჩქერი ცინცხალი ფერის კონტა ლაპოტებიან ბორბალს რომ დაატრიალებდა და მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ალაპლაპებდა.

ეს კიდევ რაა: ტრიალას იმ მხარეს, რითაც ის ნაპირზე იყო დამაგრებული, მეორე ბორბალიც ჰქონდა, უფრო განიერი ლაპოტებით; გოგონა მათ ფრთებს ეძახდა. პატარა ლაპოტებიანი ამხანაგურ წყალს ის მთორე, ფრთებიანი ბორბალი ირგვლივ აფრქვევდა და მის ახლო-მასლო ყვავილულს ისე აკუთრებდა, თითქოს წვიმა მოვიდო. ამ პატარა წვიმის წყალობით უამრავი პატარა ცისარტყელის შარავანდედი იღვავა ჰაერში. უხვად ნაშენაკურები ყვავილებიც ძალიან იყვნენ ვალაღებულნი და მათი ყურებზე ერთ რამედ ღირდა.

და ახლა, ამ ფიქრსა და ყოყმანში რომ იყო, თავისი უქმად მღვარი ტრიალა მოხვდა თვალში გოგონას. სულ მთლად დამტვერილი და ფერდაკარგული.

ალბათ მიხვდით, რაც მოხდა... წვიმა ინატრა გოგონამ. წვიმა ინატრა, რათა ისევ აჩუჩუხებულყო ნაკადული, რათა ისევ ეტრიალა ლამაზ ტრიალას. ძლივს მიაღწრო ნატერის ხმაელ-



ლა წარმოთქმა, ნატერისთვალის მიხედვით წვიმის წვეთად იქცა და ხელისგული დაუნაშა.

— უჰ, ეს მართლა წვიმის წვეთი ყოფილა, — თქვა გოგონამ გაოცებით და მაღლა აიხედა. ცახე ნაცრისფერი საყვამარი ღრუბლები მოჯარულიყვნენ. გოგონა სახლისაკენ გაიქცა, არ უნდოდა, ლამაზი კაბა დასველებოდა. შინ მისვლა კი მიასწრო და წამოვიდა ზაფხულის წვიმა ღვარივით.

დიდხანს იწვიდა, ბარაქიანად. დილა გველვისივან გამოშრალი, დახეთქილი მიწა, თავის ძველ კალაპოტში აჩუჩუხდა ნაკადული, გამოცოცხლდნენ ყვავილები, თავები ისევ მაღლა ასწიეს, ცასა და მიწას სიხარულით შეჰღიმეს.


— აი არაივინ ინატრებს წვიმასო? — ნიშნისმოგებით ჩურჩულდნენ ყვავილები, ისე კი, რომ მრავალძარღვს არ გაეგონა. არ უნდოდათ, მისი აფეცა ლაპარაკით მოეშხამათ თავიანთი დიდი სიხარული. მრავ-

ალძარღვს არც ცნებოდა მათთვის. წვიმის წყალს იგი სულ დაეტბორა, ისე, რომ წვერილად მოჩანდა, ცოტათი კი უძირდა, თუმცა რას დააკლებდა მრავალჭირნახულ მრავალძარღვსა წვიმა.

როცა წვიმამ გადაიღო და ცახე შეიღდგერი ცისარტყელა გადაიქცია, ისევ მოიბრინა პატარა გოგონამ, თავისი ტრიალას ნახვა ეჩქარებოდა. აი, მაშინ კი ახმაურდნენ ყვავილები, ატოკდნენ, ნამით გაჟღენითილი ფოთლები ააშრიანეს. მაღლობს უხდიდნენ გოგონას, მათი ვედრება რომ გაიგონა და წვიმა ინატრა.

გოგონას კი არც მათი მაღლობა ესმოდა, იგი თავის ტრიალას შეჭყურებდა გახარებული. მოჩუჩუხებდა ნაკადული, ღონიერი ჭავლით ატრიალებდა ტრიალას, თვალისმომჭრელად ლაპლაპებდნენ წვიმით გარეცხილი ლაპოტები, მის გვერდით უამრავი პატარა ცისარტყელა კი ცახე გადაიქიმულ ცისარტყელას უწევდა მეტოქეობას.

კლასიკოსები



ნიშნისმოგებით

ბანსონილმას ხელმძღვანელობს ფილიპ-მათიზამიის მიხნიმარათა კანდიდატი მ. მელაპა

ადამიანი უძველესი დროიდან იღვდა მრავალი პრობლემის წინაშე, რომელთა წარმატებით გადაჭრაც ხშირად მისი ყოფნა-არყოფნის საკითხს წყვეტდა, მაგრამ ბევრ რთულ

სიტუაციაში მას მსხნელად ევლინებოდა საკუთარი მოხერხებულობა და გამჭირაობა. ადამიანის ბრძნული მოხერხებულობის ამებზე უხვად გვაწვდის ხალხური გადმოცემა. ერთ-ერთი ასეთი ამბავი აგვიყვრადილმა სულხან-საბა ორბელიანმა

რომ არის ალბონითაი?

თავის წიგნში „სიბრძნე სიკრულისა“ ვეზირი რუქა ასეთი ამოცანით გავმოცდის ახალგაზრდა უფლისწულს:

მდინარეზე „ერთს ვიწრო ხილს გავიდებ და ზედ ერთი მგელი, ერთი თხა და ერთი ხორბოი თივა ესრეთ თითო-თითო გაიტანენ, მგელმან თხა არ მოკლას და თხამ თივა არ შეკამოს“.

მართლაც, გადეს ზიდი მდინარეზე, მოიყვანეს მგელი და თხა, მოიტანეს თივა და უფლისწულიც საქმეს შეუდგა: მეორე ნაპირზე პირ-

ველად თხა გადაიყვანა და თვითონ უკან მარტო გამობრუნდა, მეორე გზობაზე მგელი გადაიყვანა და თხა



უკანვე დააბრუნა, მესამედ კი თივა გადაიტანა და მეორე ნაპირზე მგელითან დატოვა, თვითონ კი უკან დაბრუნდა — ახლა უკვე თხა გადაიყვანა გალმა ნაპირზე.

თუ კარგად დაგვაკვირდებით უფლისწულის მოქმედებას, შევინახავთ, რომ ის გარკვეული წესის მიხედვით მოქმედებდა. თუ ამ წესს ე. წ. ბრძანებების სახით ჩამოვყალიბებთ, დასმული ამოცანის გადაჭრა შეუძლია ყველას, ვინც ზუსტად შეასრულებს ამ ბრძანებებს.

- ბრ. 1: გალმა ნაპირზე გადაიყვანე თხა;
- ბრ. 2: უკან დაბრუნდი მარტო;
- ბრ. 3: გალმა გადაიყვანე მგელი;
- ბრ. 4: უკან გადამოიყვანე თხა;
- ბრ. 5: გალმა ნაპირზე გადაიტანე თივა;
- ბრ. 6: უკან გამობრუნდი მარტო;
- ბრ. 7: გალმა გადაიყვანე თხა.

ამ ბრძანებების მიმდევრობას, რომელიც საშუალებას გვაძლავს აპოხსნათ ვეზირ რუქის მიერ დასმული ამოცანა, შეგვიძლია ამოცანის

გადაწყვეტის ალგორითმი ვუწოდოთ. ალგორითმის ცნება მათემატიკის ძირითად ცნებებს მიეკუთვნება და მკაცრი მათემატიკური განმარტება აქვს. ჩვენ კი იგი გვესმის, როგორც ბრძანებათა სასრული მიმდევრობა, რომელიც განსაზღვრავს მოქმედების განვითარების პროცესს საწყისი სიტუაციიდან საძიებელ დღემამდე. რაც შეეხება ტერმინ ალგორითმს, იგი წარმოიშვა დიდი არაბი მათემატიკოსის ალ-ხორეზმის სახელისაგან; ამ მეცნიერმა ჯერ კიდევ IX საუკუნეში შეიმუშავა ოთხი ძირითადი არითმეტიკული მოქმედების წესი ათობით სისტემაში.

ერთ-ერთი უძველესი ალგორითმი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, შეიქმნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში. მისი ავტორია მათემატიკის უდიდესი თეორეტიკოსი, ჩვენამდე მოღწეულ პირველ მათემატიკურ ტრაქტატ „საწყისების“ ავტორი ევკლიდე. სწორედ მან ჩამოაყალიბა ორი ნატურალური რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფის მიღების წესი ანუ ალგორითმი. ამ ალგორითმის იდეა შემდგომი მდგომარეობის: თუ x არის ორი x და y ნატურალური რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფი, მათი ტოლობის შემთხვევაში z დამთხვევა ამ რიცხვებს. და თუ ერთ-ერთი მათგანი მეტია მეორეზე, მაშინ მათ სხვაობას, აღებული უმცირეს რიცხვთან ერთად, ექვნება იგივე z უდიდესი საერთო გამყოფი. ევკლიდეც ეს ამოცანა ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

მოცემულია: ორი x და y ნა-

ტურალური რიცხვი.

საძიებელია: x და y რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი, z ანუ ამ ამოცანის ამოხსნელი ალგორითმი ასეთია:

ბრ. 1: თუ $x > y$, გადადი ბრ. 3-ზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადადი ბრ. 2-ზე;

ბრ. 2: თუ $x < y$, გადადი ბრ. 4-ზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადადი ბრ. 5-ზე;

ბრ. 3: $x := x - y$, გადადი ბრ. 1-ზე;

ბრ. 4: $y := y - x$, გადადი ბრ. 1-ზე;

ბრ. 5: $z := x$.

ევკლიდეს ალგორითმი შეიმჩნევა ალგორითმებისათვის დამახასიათებელი საერთო თვისება: ბრ. 3-ში და ბრ. 4-ში იცვლება ცვლადის მნიშვნელობა, მაგრამ არ იცვლება მისი სახელი. აქვე შეიძლება მნიშვნების ცნებაც, რომელიც „:=“ ნიშნით აღინიშნება. ამ აღნიშვნის უტყვევობა, ბრ. 3 შეგვიძლია გამოვიფიქროთ შემდეგნაირად ჩაეწეროს:

ბრ. 3: გამოაყალიბე x -ს y და შედეგი კვლავ მიანიჭე x -ს. გადადი ბრ. 5-ზე.

თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურად მრავალ ალგორითმს იყენებს. ალგორითმის მაგალითებია: დაკვრა ინსტრუმენტზე ნოტების მიხედვით, წამლის დამზადება რეცეპტის მიხედვით, ქსოვა ესკოზის მიხედვით, ტრანსპორტის მოძრაობა განრიგის მიხედვით. ერთ-ერთი უახლესი ალგორითმის მაგალითია საქალაქაშორისო ტელეფონ-ავტომატი საჩვენებლობის წესები:

ბრ. 1: აიღე ყურმილი და დაელოდე უწყვეტ ზუმერს;



ბრ. 2: ჩაადგე 15 კაბ.

ბრ. 3: ტელეფონზე აკრიფე 1-ანი და უცაღლ წყვეტილ ზუმერს;

ბრ. 4: აკრიფე აბონენტის ნომერი, დაუცაღე პასუსს;

ბრ. 5: როცა აბონენტი გაგეცემს პასუსს, დააჭირე თითი ღილაკს — „ლაბარაკი“;

ბრ. 6: როცა ლაბარაკის დროს გამაფრთხილებელი ნათურა აინთება, ლაბარაკის გასაბრუნებლად ჩააგდე 15-კაბიანი მონეტა.

თუ რომელიმე ეს ბრძანება დაარღვიეთ, დანიშნულების აღდგენევერ დაჩერეთ. სწორედ ეს თვისება — მასობრიობა ახასიათებს ყველა ალგორითმს, მათთვის არ არის საჭირო რაიმეს მოფიქრება. მთავარია აღწერილი ბრძანებების ზუსტად შესრულება, ამიტომაც მიიჩნევენ ელექტრონულ-გამომავლელ მანქანებს ალგორითმების ძირითად გამოყენებულად.

ალგორითმი შეიძლება იყოს მარტივი და რთული, ხშირად კი, მიანისთვის შეუსრულებელიც და, მაგრამ ყოველთვის შეიძლება მისი ჩაწერა მკაცრი მათემატიკური ენით, მისი მიწოდება ეგმ-სთვის და შესრულება რბობის საშუალებით.

ახლა კი თქვენ თვითონვე სცადეთ, შექმნათ ალგორითმი და ჩამოაყალიბოთ ის თქვენთვის უკმე ნაცნობ ფორმით. დავალებად ერთ ამოცანას შემოგთავაზებთ:

მდინარეს მიაღმა სამი რაინდი საპურველთმეტვრთვლებთან ერთად. მეორე ნაპირზე გადასასვლელად ერთი ორადგილიანი ნაგი იპოვეს. არც ერთ საპურველთმეტვრთველს არ უნდოდა დარჩენა თავის ბატონის გარეშე, რადგანაც სხვა რაინდების ეშინოდა, მომკლავნო. მოიფიქრეთ, როგორ უნდა გადავიდნენ ყველანი მეორე ნაპირზე ორადგილიანი ნაგიზე ისე, რამაც ერთი ნაპირზე არც ერთი საპურველთმეტვრთველი სხვა რაინდთან მარტო არ დარჩეს.

იოსებ ბლიაძე,
რამისა ხომარკიანი
მხატვარი იმ. ანთონაძე



ნორჩმა ქართველმა მთასწავლელმა სახანოვრო სკოლაში გადამიხსნა ბარის ნაბლაპარო.

სტუმრად სოფელ შაპოტისთან

ბ. ძნელადის სახელობის პიონერი და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალბინიზმის კაბინეტის წევრები, რომლებიც ჩამბული არიან საქავშირო ექსპედიციაში „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა“, სავაზაფხულო არდადეგებზე სომხეთს ეწვივნენ. ვთავაზობ პიონერ-მოსწავლეთა შთაბეჭდილებებს.

რდება, ზაფხულში თანატოლებთან ერთად უადგილესი გზით მოგიწყობთ ახლას მწვერვალ არაფაზე, დათავალიერებინებთ კოსმოსური სხივების ლაბორატორიასო. იქიდან მწვერვალი არარატის უჩვეულოდ ლამაზი სანახავია, იქიდან მთელი სომხეთი ხელის გულზეაო, — გვეუბნება პატივცემული რუბენი.

თომარა ახალბაძე,

101-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.

ერევანში ძალიან კარგი სამხატვრო გალერეაა, სადაც ვნახეთ საბჭოთა და უცხოელი მხატვრების ნამუშევრები. განსაკუთრებით მომეწონა აივანოვის ტილოები.

ძალიან გვესიამოვნა, როდესაც გავიგეთ, რომ აქ ცოტა ხნის წინათ ლალი გულბაიშვილის ნამუშევრების გამოფენა ყოფილა.

დათო შარაშიძე,


155-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.

ჩვენ სომხეთში ვართ. სადგურში გვხვდება აქაური ცნობილი მთამსვლელი, საქავშირო კატეგორიის მსაჯი, სსკ სპორტის ოსტადი, ალპური კლემის დირექტორი რუბენ არუთუნოვი. მას ძალიან მოსწონს, რომ ჩვენ, ნორჩი ქართველი მთამსვლელები, სომხეთის მთიანეთით ვართ დაინტერესებული. გვიპ-

ბირველი ექსკურსიით ქალაქი ერევანი მოგვტარებს. იგი საკმაოდ დიდია. ვარდისფერი ტუფით ნაგები შენობები განსაკუთრებით ლამაზია ამ შიან ამინდში. ქალაქი მდინარე რაზდანის ორივე ნაპირზეა გაშენებული. ლამაზია ქალაქის ცენტრი — ლენინის მოედანი. ვნახეთ შესანიშნავი სპორტული ნაგებობა, სტადიონი „რაზდანი“, რომელიც მანამდე მხოლოდ ტელევიზიით გვიჩინავს სომხეთის ფეხბურთელთა გუნდის „არარატის“ თამაშის დროს. ქალაქში მრავალი ფაბრიკა-ქარხანაა: ვნახეთ საქვეყნოდ ცნობილი კონიაკის ქარხანა, რომლის კონიაკს მრავალი ოქროსა და ვერცხლის მედალი აქვს მიღებული საერთაშორისო კონკურსებზე.

ნიკო ბახრაძე,

189-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.



გარნის ნაპალაპარი — სომხეთის კავშირის ისტორიის უახვეო ძეგლი

ბილი არა მხოლოდ სომხეთში, არამედ მის გარეთაც.

ბიურგინი საზღაპე

მე-6 საუბალო სკოლა, IV კლასი

დიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. იქვე მეშვიდე საუკუნის ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებია, მტრისაგან მრავალჯერ დანგრეული და შემდგმად აღდგენილი. ეს ეკლესია საბოლოოდ 1679 წლის მიწისძვრას დაუნგრევია. ენახეთ ძველისძველი აბანო,

ერევან-თბილისის სამანქანო გზასთან, 2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ამიერკავკასიაში უდიდესი სევანის ტბა. მის ნაპირას, კონცხზე, რომელიც წარსულში ნახევარკუნძულად იყო შეჭრილი ტბაში, დგას მეცხრე საუკუნის ეკლესია. ტბაში მოშენებულია მრავალი ძვირფასი თევზი, რომელთაგან ყველაზე ცნობილია იშხანი (კალმახი). დაბარუნებისას ტბის მიდამოებში ჩვენი სასკოლო მეზულებებისათვის მოვაროვეთ შავი პრილა ქვა, ველკანური მინა — ოხსიდიანი. მას სხვადასხვა წარმოებებში და სამკაულების დასამზადებლად იყენებენ.

დათო მინაზღილი

166-ე საუბალო სკოლა, VII კლასი.

